

1239

2008



საქართველოს იკლოთეკა

ISSN 1512-0880

№1 2008 (30)

საქართველოს



ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ.: 93-26-82

36-09-51

ბიბლიოთეკართა საყურადღებოდ!

მიმდინარე წელს "საბიბლიოთეკო კვირეული" გაიმართება 30 აპრილიდან 7 მაისამდე.

გთხოვთ, თქვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მოგვანოდოთ კორესპონდენციები და თვალსაჩინო მასალა.

ჟურნალის რედაქცია.

ჟურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

მზია რაზმაძე

- კომერციული დირექტორი

გუდნარა სჭურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორესპონდენტებთან მუშაობის

რედაქტორ-კოორდინატორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

ციფრული ბიბლიოთეკა

მომხმარებელს საშუალებას აძლევს კომპიუტერით წაიკითხოს ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი გამოცემების სრული ტექსტი.

ყველა კოლექცია სისტემატიურად ახლდება. ყოველ ახალ გაციფრულ გამოცემაზე ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბიბლიოთეკის საიტის ახალ ამბებში

<http://www.nplg.gov.ge>

ინფორმაციის „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.

საქართველოს ბიბლიოთეკა № 1-08(30)
შინაარსი

საბიბლიოთეკო საქმის ტერმინოლოგიური პრობლემები	4	
ისტორიის ფურცლებიდან		
ნინელ მელქაძე – თბილისის ბიბლიოთეკების კვალი		
ალ. დიუმას კავკასიურ ჩანაწერებში	8	
ნატო მჭედლიშვილი – ძველი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკები	11	
ტერმინოლოგიური ძიებანი		
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიული წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში	14	
გურამ თაყნიაშვილი – მნიგნობრობასთან დაკავშირებული		
ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში	16	
ღირსეული წინაპრები		
ალექსანდრე ლორია – ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა		
და შემოქმედების ასპექტები (დასასრული)	18	
თანამედროვე ტექნოლოგიები		
შტეფან ბიუტნერი – ბიბლიოთეკები და ციფრული პუბლიკაციები	26	
გვესაუბრება პროფესიონალი		
სამან ნერსესოვა – მკითხველთა შესწავლა მკითხველის		
ფორმულიარების საშუალებით	33	
რეცენზიები		
ალექსანდრე ლორია – მომავლის გათვალისწინებით	35	
ინფორმაცია		
ერთი კაცის მთელი სიცოცხლე	38	
რუსუდან დანელია – მეთოდოლოგიური სიახლე	39	
იუბილე		
ზეინებ ჟიჟილაშვილი – ნიკოლოზ აკერმანი – 100	40	
გუია უბილავა – 100	42	
საცნობოდ საკითხავი		43
ქრონიკა		
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა, მოვლენები, ფაქტები	44	
ნეკროლოგი	44	

96

**Georgian Library, 5-08 (30)
Table of content**

The Terminological Problems of Library Work	4
Extrsects from History	
Ninel Melqadze – Traces of Tbilisi Libraries in Alexander Dumas' Caucasian Papers	8
Nato Mchedlishvili – The Libraries of the Ancient East	11
Terminological Exploration	
Badri Tskhadadze – The Paleographie Book Study Terms in Georgian	14
Guram Takniashvili – The Literary Terms in the Lexicographic Works by Sul Khan-Saba Orbeliani	16
Praiseworthy Ancentors	
Alexander Loria – The Factes of Ilia Chavchavadze's Life and Works (the and)	18
Modern Technologies	
Stefan Butner – The Libraries and Digital Publications	26
A Professional Speaks Out	
Saman Nersesova – The Study of Readers though the User Account Forms	33
Reviews	
Alexander Loria Concider Future... ..	35
Information	
Whole life of a man - „Omri”	38
Rusudan Danelia - News in Methodology	39
Anniversaries	
Zeinab Jijilashvili – Nikoloz Ackermann – 100	40
Guia Berulava – 100	42
Some Interesting Facts	43
The Chronicle of the Georgian Library Life: Events, Facts	44
Obituaries	44

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №1-08 (30)
Содержание

Проблемы терминологии библиотечного дела в Грузии 4

Страницы истории

Нинель Мелкадзе — Следы Тбилисских библиотек в записках о Кавказе А. Дюма 8

Нато Мchedlishvili — Библиотеки Древнего Востока 11

Терминологические изыскания

Бадри Цхададзе — Палеографические книговедческие термины в грузинском языке 14

Гурам Такниашвили — Термины, связанные с книговедением,
в лексикографических произведениях Сулхана — Саба Орбелиани 15

Прославленные предшественники

Александр Лория — Аспекты жизни и творчества Ильи Чавчавадзе (Окончание) 18

Современные технологии

Штефан Бютнер — Библиотеки и цифровые публикации 26

Беседу ведет профессионал

Саман Нерсесова — Изучение интересов читателей с помощью читательских формуляров 33

Рецензии

Александр Лория — С учетом будущего 35

Информация

Целая жизнь одного человека — "Омри" 38

Русудан Данелия — Новое в методологии 39

Юбилей

Зейнаб Жижилашвили — Николаю Аккерману — 100 40

— Гуие Берилава — 100 42

Чтение для любознательных 43

Хроника

Библиотечная жизнь Грузии: события, факты 44

Некролог 44



საზოგადოებრივი საქმე და ბარბინოლოგიური პრობლემები

სიტყვა „ტერმინი“ ლათინური ძირიდანაა წარმოქმნილი და მისი თავდაპირველი გაგება „ზღვართანაა“ დაკავშირებული. ამჟამად ნიშნავს „სიტყვას“ (ან „შესიტყვებას“), რომელსაც იყენებენ რომელიმე დარგის ცნებების ან სპეციალური საგნების აღსანიშნავად (ქსე). ტერმინი შეიძლება იყოს ნასესხები ან კალკირებული, აგრეთვე საგანგებოდ შექმნილი ამა თუ იმ ენაში ამ ენის თავისებურებათა გათვალისწინებით. ზოგჯერ ხდება, რომ ჩვეულებრივი სიტყვა ტერმინად ფორმდება.

ტერმინებს, ჩვეულებრივ, იყენებენ ამა თუ იმ დარგში და მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლოგიკური თვალსაზრისით. ყველა ტერმინს თავისი დამოუკიდებელი და მყარი გაგება აქვს, დროთა განმავლობაში იძენს „მოქალაქეობრივ უფლებებს“ და დარგის დამახასიათებელ თვისებად გარდაიქმნება. სწორედ ამის გამო იქმნება ამა თუ იმ დარგის ტერმინები, რომელთა გამოყენება ერთგვარად კანონიზირდება და ამგვარად იქმნება დარგობრივი ტერმინოლოგიური ერთობლიობის სპეციალური ლექსიკონების სახით.

ჩვენი დარგისთვის, უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა ბიბლიოთეკათმცოდნეობითი, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული, წიგნმცოდნეობითი, არქივმცოდნეობითი ტერმინოლოგიური ცოდნა და ძიებანი.

ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური ბაზის გარეშე ვერც ერთი მეცნიერება და დარგი ვერ განვითარდება. ამიტომაც ოდითგანვე იქმნებოდა ათასგვარი დარგობრივი ლექსიკონი, რომელიც აკანონებდა ტერმინებს და საყოველთაოდ მისაღებად აქცევდა მათ.

საქართველოში საკმაოდ დიდი და წარმატებული მუშაობა მიმდინარეობდა ტერმინოლოგიაში. ამ დარგში მოღვაწეობდნენ

ჩვენი უთვალსაჩინოესი მეცნიერები. მათ ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს დიდი სულხან-საბა ორბელიანი თავისი „სიტყვის კონით“. ამ ასპარეზზე უმოღვანია ანტონ პირველს (კათალიკოსი), თავისი სიტყვა თქვეს დავით და იოანე ბაგრატიონებმა. მათ კვალს მიჰყვებოდნენ რაფიელ ერისთავი, დავით და ნიკო ჩუბინაშვილები, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ილია აბულაძე, ნიკო ბერძენიშვილი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

ტერმინოლოგიური პრობლემები თავის გამოძახილს პოულობდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართველ კლასიკოსთა მოღვაწეობაში, განსაკუთრებით „თერგდალეულთა“ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით.

ლექსიკოგრაფიულმა საქმიანობამ შედარებით ორგანიზაციული სახე მიითო 1918 წლიდან, როცა საქართველოში ტექნიკურ საზოგადოებასთან ტერმინოლოგიური სექცია შეიქმნა. 1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა („განსახკომი“) სამეცნიერო საბჭო დააარსა, სადაც სატერმინოლოგიო სექცია ფუნქციონირებდა. პარალელურად მოღვაწეობდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც სტატიებს აქვეყნებდნენ ჟურნალში: „ჩვენი მეცნიერება“, „განათლება“, „ახალი სკოლისაკენ“ და სხვა.

მხედველობაშია მისაღები ის წინმსწრები საქმიანობა, რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო ხანის მოღვაწეობას. სათავე ამას XX საუკუნის დასაწყისში მიეცა. მაგრამ ეს საქმიანობა მხოლოდ კერძო ინიციატივით ხორციელდებოდა.

1926 წელს უკვე პარტიის ცეკასთან შეიქმნა მთავარი ტერმინოლოგიური კომიტეტი, რომელიც ერთგვარ საკოორდი-

ნაციო და ზედამხედველობით ორგანოდ იქცა ტერმინოლოგიურ საქმეში. ამგვარი ფუნქციებით იყო აღჭურვილი 1936 წელს ამ კომიტეტის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო ტერმინოლოგიური განყოფილება, რომელიც, ფაქტობრივად, იქცა ტერმინების დადგენისა და დამტკიცების ორგანოდ. ეს განყოფილება 1941 წლიდან შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში.

ცხადია, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული, წიგნმცოდნეობით-არქივმცოდნეობითი ტერმინები ზოგად ტერმინოლოგიურ დოკუმენტებშიც ვლინდებოდა, მაგრამ უშუალოდ დარგის პროცესების ტერმინების შექმნა და დახვეწა აქტიურად იწყება მას შემდეგ, რაც 1923 წელს სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან საბიბლიოგრაფიო-საბიბლიოთეკო კაბინეტი დაარსდა.

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ტერმინებზე აქტიურად მუშაობდნენ: ივ. ციციშვილი, გ. ბაქრაძე, გ. ციციშვილი, გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. კარტოზია და სხვები. ცალკეულ სტატიებსა თუ სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე გამოსვლებში ხშირად შუქდებოდა ქართული საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ტერმინების საკითხები. მნიშვნელოვანი იყო გ. ბაქრაძის სტატია „წიგნის მეგობარში“ (1925) — „ბიბლიოგრაფიული ტერმინების სია, რუსული და გერმანული შესატყვისებით“. საერთოდ, პირველად ტერმინები, ფაქტობრივად, რუსულიდან ითარგმნებოდა. შემდეგ და შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით. ივ. ციციშვილმა „საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის“ სამეცნიერო „შრომების“ პირველ ტომში (1934წ.) გამოაქვეყნა სტატია „ქართული ტერმინებისათვის“, რომელშიც სცადა ჩამოეყალიბებინა ეროვნული ტერმინების შექმნისა და დამკვიდრების პრინციპები, თუმცა ბევრ რამეში ის არ ავითარებდა სწორ მოსაზ-

რებებს, მაგრამ მან ბიძგი მისცა ეროვნულ სტანდარტებზე მუშაობის გაძლიერებას, თვით ი. ციციშვილი დაუცხრომლად განაგრძობდა მუშაობას ქართულ საბიბლიოთეკო ტერმინებზე. საჯარო ბიბლიოთეკის „შრომებში“ ის კვლავ მიუბრუნდა ტერმინოლოგიურ პრობლემებს სტატიაში „კატალოგრაფიული ტერმინები“ (1937წ.), ხოლო 1940 წელს გამოქვეყნდა წიგნი „კატალოგრაფია“, რომელშიც ფართოდ გამოიყენა ორიგინალური ტერმინები. იგი სავსებით უგულვებელყოფდა პრეფიქსების გამოყენებას ქართული საბიბლიოთეკო ტერმინებისათვის.

ტერმინოლოგიურ საკითხებზე სჯა-ბასი და კვლევა-ძიება ხანგრძლივ პერიოდს გრძელდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1940 წელს გამართული საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენცია, სადაც ტერმინოლოგიურმა პრობლემებმა დიდი ადგილი დაიჭირა. 1947 წელს საჯარო ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე კვლავ გაიმართა დისკუსია ტერმინოლოგიურ საკითხებზე 1948 წელს „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“. ი. ციციშვილი კვლავ აშუქებს თავის მოსაზრებებს სტატიაში „ტერმინოლოგიის შესახებ“. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველი კაპიტალური ლექსიკონის გამოცემა, რომელიც 1932 წელს განხორციელდა („ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია“). მისი შემდგენლები იყვნენ „უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის“ თანამშრომლები გ. ბაქრაძე და გ. ციციშვილი. წიგნის შედგენაში აქტიურად მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ვ. ბერიძე.

1962 წ. გ. გიორგიძისა და გ. კარტოზიას ავტორობით გამოდის „საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი“, რომელიც მეორედ 1974 წელს კვლავ გამოიცა.

ქართული ტერმინების მონესრიგებას

დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირში 1970 წელს რუსულენაზე გამოქვეყნებულმა საკავშირო მნიშვნელობის ტერმინოლოგიურმა სტანდარტებმა: „ბიბლიოგრაფია, ტერმინები და განსაზღვრებების (ГОСТ 16448 – 70), „გამოცემები ძირითადი სახეები, ტერმინები და განმარტებები“ (ГОСТ 164467 – 70) და სხვა ციკლების სტანდარტები.

როგორც ვხედავთ, საქართველოში საკმაოდ ენერგიულად და ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ტერმინებზე. ბოლო დრომდე ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა მუშაობა. სხვადასხვა პერიოდში არაერთგვაროვანი აქტიურობით ხდებოდა ეს, მაგრამ არ იყო საკმარისი კოორდინირება და გეგმიური მოქმედება, რაც, ერთგვარად, შედეგისთვის ყოველთვის საზიანოა და ნაკლებეფექტური. ამ ბოლო ხანებში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო 2006 წელს ოთხენოვანი ლექსიკონის გამოქვეყნება, რომელიც მომზადებული იყო გერმანულ და ქართველ სპეციალისტთა მიერ (“წიგნისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის მრავალენოვანი ლექსიკონი — გერმანულ — ინგლისურ-რუსულ-ქართული”). მის შედგენაში მონაწილეობდნენ: ა. აკერმანი, დ. გაგნიძე, ი. მინდაძე, ე. პლასმანი, კ. შპისი, თ. ჯაჭვაძე. ნაშრომი საკმაოდ კაპიტალური გამოცემაა (482 გვ.), მაგრამ დასანანია, რომ აქ განმარტებები არ არის მოცემული და მხოლოდ შესატყვისი ტერმინების თარგმანებია. აქვს სხვა ნაკლოვანი მხარეებიც, რაც დაკვირვებულ შესწავლას საჭიროებს, ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა და ქართველი სპეციალისტებისათვის მასობრივად გამოსაყენებელი არ არის.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ (პრეზიდენტი ი. ლარიბაშვილი) კარგა ხანია დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიური ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაზე. განზრახულია მისი ბეჭდური გამოცემაც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ქართველისპეციალისტების მიერ კვლევით მუშაობაში ხშირად პოულობს ადგილს ტერმინი-

ლოგიური საკითხები. არის ცდები ახალი, ჯერ მიუღებელი ტერმინების დამკვიდრებისა, როგორცაა, მაგალითად „ლექტოლოგია“ — მეცნიერება კითხვის შესახებ, მაგრამ მისი არც პოპულარიზაცია მომხდარა და არც საავტორო აღიარება, აქედან გამომდინარე, არც მომხდარა მისი საყოველთაო მიღება და დამკვიდრება. ტერმინი შედარებით გვიან სხვაგან იქნა შემოღებული, თუმცა ოდნავ სხვაგვარი გაგებით. ამგვარი ტერმინებია: „ბიბლიოლექტოლოგია“, „რეგოლექტოლოგია“, „ბუკინისტიკა“ და სხვა. ბევრი ტერმინია ამჟამად საქართველოში დასამკვიდრებელი, რაც უმეტესადახალტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად საშური საქმეა ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში.

ტერმინების მიღება-დამტკიცება ძალიან მძიმე პროცესია და სუბიექტურ მოსაზრებებზე არ არის დამოკიდებული. ის ცხოვრების კანონზომიერებით არის ნაკარნახები. ასეა ადრევე დამკვიდრებული ტერმინების კვდომა და ცვლა. ამას არც საქართველო ასცდა. ბევრი ახალი ტერმინი იქნა მიღებული, ბევრიც — უარყოფილი. ზოგი ძალიან მარჯვედ იყო თარგმნილი თუ შექმნილი, ზოგიც მიუღებელი აღმოჩნდა. უამრავი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ თვალსაჩინოებისთვის რამდენიმეს დავასახელებ: ფირფიტა (ნაცვლად საკატალოგო ბარათისა); ზანდუკი, წიგნის ცხრილი (ნაცვლად საძიებლის, სარჩევის ან შინაარსისა); წიგნთამცველი, მებიბლიოთეკე (ნაცვლად ბიბლიოთეკარისა); სანიგნე, სამწიგნობრო (ნაცვლად წიგნსაცავისა); სტატიობრივი აღწერა (ნაცვლად ანალიტიკური აღწერისა) და სხვა. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ნაცვლად შემოთავაზებული იყო: ბობლიოთეკონომია, ბიბლიოთეკოლოგია, ბიბლიოლოგია და სხვა. ზოგ შემთხვევაში იყო დაუზუსტებელი განსაზღვრებები, გაორება, როგორც, მაგალითად, „სპეციალური ბიბლიოთეკა“ და „სპეციალიზირებული ბიბლიოთეკა“ (სხვათა შორის, ამგვარ

უზუსტობას ახლაც ვაწყდებით, — არ არის ნათლად ჩამოყალიბებული ამ ტერმინთა სხვადასხვაობა); ასევე, ხშირად არაშესაბამისად გამოიყენება „მოთხოვნილება“ და „მოთხოვნა“ და ასე ამგვარად*

ამჟამად საერთაშორისო სტანდარტების რეკომენდაციით მკვიდრდება ახალი ტერმინები, როგორც მაგალითად, „დოკუმენტი“ (ყოველგვარი დაცვის ნყაროს სანაცვლოდ), „მომხმარებელი“ — „მკითხველის“ ნაცვლად და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე უცხოური ტერმინების დიდი მოჭარბება შეიმჩნევა, რაც აიხსნება ბიბლიოთეკებში კომპიუტერის დანერგვით. ზოგ შემთხვევაში საბიბლიოთეკოსაქმეშინაკლებად ჩახედული ავტორიტეტული პირები ეჭვის თვალთ უყურებენ უკვე დადგენილ და მიღებულ ტერმინებს (ათწლიანი კლასიფიკაცია, საბიბლიოთეკო საქმე, საბიბლიოთეკო ქსელი, ბიბლიოთეკების ტიპოლოგია, ნიგნადი ფონდი, საბიბლიოთეკო სისტემა, რეინვენტარიზაცია და სხვა). ისინი ცდილობენ შემოქმედება მოახდინონ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებზე, უმეტესად ეს იმით აიხსნება, რომ ხდება უცხოეთის მაგალითის ბრმა მიბადვით; ზოგ ქვეყანაში ეს ტერმინები სხვაგვარი თვალსაზრისით გამოიყენება ან სავსებით უცნობია, არ არის ხმარებაში და მათ სხვა შესატყვისები აქვთ.


დაუშვებელია, არ იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ტრადიციები, რაზეც სპეციალურად მიგვითითებს საერთაშორისო სტანდარტები. არც ისაა სავსებით მისაღები, უთარგმნელად მივიღოთ ყველა უცხოური ტერმინი, როცა ამის შესაძლებლობა არის. ერთი კია: უეჭველად უნდა მივადევნოთ თვალი საერთაშორისო სტანდარტებს და შეძლებისდაგვარად მივიღოთ ის, გავითვალისწინოთ და დავამკვიდროთ ჩვენს მუშაობაში. ამას კი საქმისადმი გონივრული და პროფესიული მიდგომა ესაჭიროება. ამ თვალსაზრისით, მიუხედავად საამისო რესურსების ნაკლებობისა, ყოველგვარი საშუალება არის, როგორმე გამოიცეს ქართული ტერმინების ლექსიკონები და სტანდარტების ნუსხები.

1970 წელს იუნესკოს პლენარულ სხდომაზე

შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები საერთაშორისო საბიბლიოთეკო სტატისტიკის სტანდარტიზაციის შესახებ, რომელიც საქართველოში თითქმის არ გამოიყენება, რაც აფერხებს ქართული სტანდარტებისა და ტერმინების საქმის განვითარებას. ასევე, რუსეთში 2003 წელს დამუშავდა ნიგნთა აღწერილობის სტანდარტი, რომელიც ეფუძნება, მაგრამ არა მთლიანად, მიუნჰენში, ლონდონსა, ნიუიორკსა და პარიზში 1992 წელს გამოქვეყნებულ „საერთაშორისო სტანდარტულ ზოგად ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას“, რომელიც მეორედ გამოიცა შესწორებებით. ეს სტანდარტები ჯერჯერობით ჩვენში მასობრივად დანერგილი არ არის. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ის მიღებული აქვს, თვითონაც აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ახალი სტანდარტების გამოყენებას, გამოქვეყნებული აქვს მეთოდიკური ნერილები („დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა“ და სხვა), მაგრამ ყოველივე ეს ძალიან უმნიშვნელოა იმისათვის, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებში აქტიურად გავრცელდეს თანამედროვე სტანდარტები და ტერმინები. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული კრებულები, რომლებშიც მნიშვნელოვანი თანამედროვე ტერმინებია მოცემული.


მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა ცალკეულ პირებისა და გაერთიანებების (ჯგუფების) მიერ ამჟამადაც მიმდინარეობს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პერსპექტივა, მაინცა და მაინც, სასურველი არ არის, ხელთ არ გვაქვს კომპეტენტური გამოცემები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა ქართული საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ტერმინების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას.

დარგის განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს საბიბლიოთეკო ტერმინებზე მუშაობის გააქტიურება და კოორდინირება, ამ საქმეში ცნობილი სპეციალისტების მოზიდვა, ძალების გაერთიანება, ფინანსების გამონახვა, რათა საშუალება გაჩნდეს ქართული საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემისა.



ნიწელი მელქაძე

თბილისის ბიბლიოთეკის კვანი ანაქსანდრა დიუმა კავკასიურ ნაწარბუი



ალექსანდრე დიუმა (მამა), როგორც თითქმის ყველა ფრანგი მწერალი, გატაცებული მოგზაური იყო. ქვეყნების მოვლის შემდეგ უამრავი საგზაო ჩანაწერი უგროვდებოდა და პარიზში მათთან ერთად, ბევრი ახალი მხატვრული ნაწარმოებიც ჩაჰქონდა. მისივე თქმით, მოგზაურობა — ეს სიცოცხლეს ნიშნავს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს ნიშნავს, დაივიწყო წარსულის მძიმე საზრუნავი და იცხოვრო მომავლის სასარგებლოდ, ეს არის ოქროს მადნის აღმოჩენა ჯერ გაუკვალავ ადგილებში.

1858 წლის ივნისიდან 1859 წლის თებერვლის ჩათვლით ა. დიუმა რუსეთის იმპერიაში მოგზაურობდა. ბოლო 3 თვის განმავლობაში ის კავკასიაში იყო.

1859 წლის აპრილში პარიზში, ხოლო აგვისტო-სექტემბერში ინგლისში კავკასიაში მოგზაურობის შესახებ 3 ტომი გამოიცა. 1861 წელს თბილისში შემოკლებული სახით იქნა გამოქვეყნებული დიუმას ნარკვევების პირველი თარგმანი რუსულ ენაზე, რომელიც ფრანგულ ენაზე მიმონერის სახელმწიფო ჩინოვნიკმა პ. ნ. რობოროვსკიმ შეასრულა, კომენტარები კი ნ. გ. ბერძენოვმა (ბერძენიშვილმა) დაურთო. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული თარგმანის მეორე გამოცემა 127 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. ორივე გამოცემა თბილისში იყო განხორციელებული. ამის შემდეგ არაერთგზის დაისტამბა დიუმას წიგნი კავკასიაში მოგზაურობის შესახებ სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ქართულად (პირველად 1964 წ., მეორედ — 1970 წ.).

ა. დიუმა მეტად ორიგინალურად იყენებდა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. ყოველივე ამას

ის ემოციურ ქარცეცხლში ატარებდა, რაც თავისი მხატვრული ნაწარმოებების შექმნისას შემოქმედებით იმპულსს სძენდა. ამიტომაც მას, როგორც ჭეშმარიტ მიმომხილველს, არ ჰქონდა მაღალი რეპუტაცია და ნდობასაც ნაკლებად იმსახურებდა, მაგრამ შემდეგდროინდელმა მკვლევარებმა ნათლად დაინახეს, რომ ეს არ იყო სამართლიანი. მართალია, ისტორია დიუმასათვის შემოქმედების წყარო იყო, მაგრამ ის სულაც არ უგულვებლყოფდა ისტორიულ სინამდვილეს.

თანამედროვე ისტორიკოსები ა. დიუმას ახასიათებენ როგორც ბელეტრისტ-ისტორიკოსს, რომელმაც კარგად იცის, გამოარჩიოს ის, რაც ყველაზე საყურადღებო და უტყუარია, რაც განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებს. თითქმის ყველა მოვლენა, რომელიც დიუმას აქვს ასახული, ამოკრეფილია მრავალრიცხოვანი ქრონიკებიდან, მემუარებისა და ისტორიული წყაროებიდან, ცხადია მხატვრული შემოქმედების პრიზმაში გადატეხილი. ავტორი გამოირჩევა რომანტიკული თხრობით, რომლის დროსაც ჰიპერბოლურად უდგება სინამდვილეს. ამავე დროს, დიუმას წიგნი კავკასიის შესახებ გამოირჩევა ისტორიული ეპიზოდების სიმართლითა და ადგილობრივი ყოფის კარგი ცოდნით.

ა. დიუმას „კავკასია“ გვალფრთოვანებს არა მარტო მხატვრული ღირსებებით, არამედ ისტორიული მოვლენების სწორად შეცნობისა და შეფასების უნარით. ზოგი მეცნიერი გაოცებას გამოთქვამს: როგორ მოახერხა დიუმამ, რომელმაც არ იცოდა რუსული, თითქმის რვა თვე ეცხოვრა იმპერიაში და ამდენი რამ გაეგო აქაურობის

შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: საიდან და როგორ ღებულობდა და ამუშავებდა ის ინფორმაციას, როგორ შრომობდა თავის წიგნზე „კავკასია“, წიგნზე, რომელმაც პირველად გააცნო ევროპას ამ მხარის ისტორიული, გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

ჩვენი დაკვირვებისა და გამოკვლევების შედეგად, გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ ეს მისი თანამგზავრ-თარჯიმანის კალინოს ღვანლი კი არ არის (როგორც ეს ზოგს მიაჩნია), რომელიც, თვით დიუმას გადმოცემით, საშუალო დონის სტუდენტს თუ წარმოადგენდა, არამედ სულ სხვა იყო წყარო მისი ინფორმირებისა და კონსულტაციისა. ვის შეეძლო ამ ხანებში თბილისში მისთვის სამეცნიერო-ინფორმაციული თანადგომა, თუ არა „რუსეთის საიმპერიო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ (КОИРГО), აქ თავმოყრილი მაღალი ინტელიგენციის სახით.

უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ კალინოს ღვანლი ძირითადად თბილისის ბიბლიოთეკებიდან გამოტანილი წიგნების დიუმასათვის მიწოდებაში გამოიხატებოდა. ამ დროს თბილისში კავკასიაში ყველაზე დიდი ორი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა: „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“, დაარსებული 1846 წელს, და „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ (КОИРГО) ბიბლიოთეკა, დაარსებული 1851 წელს. ორივე ბიბლიოთეკას დაკომპლექტების ერთი ძირითადი თემატიკა აერთიანებდა – ნაშრომები კავკასიაზე; მაგრამ მათ განასხვავებდა ტიპოლოგიური ფუნქციები – „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ (არსებითად კავკასიის ნაციონალური ბიბლიოთეკა) მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რამდენადაც შეიძლებოდა, ამომწურავად შეეგროვებინა წიგნები და პერიოდიკა კავკასიისა და მომიჯნავე მხარეების შესახებ, აგრეთვე უზრუნველყო ზოგადსაგანმანათლებლო მიზნების აღსრულება; КОИРГО-ს სპეციფიკა კი იმაში მდგომარე-

ობდა, მხარეში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ხელი შეეწყო საჭირო ინფორმაციითა და ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში. მისი ტიპოლოგიური თავისებურებანი ითვალისწინებდა დაცვის ერთეულთა დიდი რაოდენობით შექენას, რომელთა გამოყენება დასაშვები იყო ბიბლიოთეკის გარეთაც, რაც შეეხება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, ის, ფაქტობრივად, წარმოადგენდა კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურის არქივ-საცავს, რომელიც არ ითვალისწინებდა სააბონემენტო მომსახურებას და უმეტესად წიგნებს თითო ეგზემპლარად იძენდა. აქედან რომ ვინმეს შინ სარგებლობისათვის წაეღო წიგნი, მეფისნაცვლის ნებართვა იყო საჭირო.

დიუმა საფრანგეთის კონსულმა ფინომ საცხოვრებლად ზუბალაშვილის სახლში განამწესა; 1858-1860 წლებში სწორედ აქ იმყოფებოდა КОИРГО-ს ბიბლიოთეკა და მუზეუმი. თბილისში დიუმას ყოფნის დროს КОИРГО-ს ბიბლიოთეკა (1858 წლის მონაცემებით) 358 დასახელების 745 წიგნის, 34 გეოგრაფიული რუქისა და ატლასისაგან შედგებოდა. КОИРГО-ს ანგარიშების მიხედვით (1859-1864) შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ 1858 წლისათვის მის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებიდან 83 დასახელება ისტორიული და არქეოლოგიური იყო, 70 – გეოგრაფიული, 34 – ატლასი, რუქები და სხვადასხვა ნახატები, 7 – სტატისტიკური გამოცემა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა 12 დასახელების პერიოდული ორგანო. მათ შორის: გეოგრაფიული 6, სტატისტიკური 1, ისტორიულ-არქეოლოგიური 2.

1858 წლისათვის „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ კოლექცია შეადგენდა 5.330 დასახელების 13.260 ტომს 19 ენაზე: თანამედროვე რუსული, საეკლესიო სლავური, პოლონური, ჩეხური, ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, გერმანული, ინგლისური, არაბული, სპარსული, თურქული, თათრული (აზერბაიჯანული), სომხური, ქართული, ოსური, სანსკრიტული, იაპონური. კავკასიოლოგი-

ური ლიტერატურა 500 დასახელების 900 ტომს შეადგენდა. წიგნები სისტემატიზებული იყო 16 განყოფილებადა, არსებობდა სისტემატური და სხვადასხვა დანიშნულების ანბანური კატალოგები. ყველაზე მრავლად იყო წარმოდგენილი ისტორიული ლიტერატურა: 1077 დასახელების 2.610 ტომი; სიტყვიერებითი იყო 1417 დასახელების 3.694 ტომი, გადამჭრელი უმრავლესობა ფრანგულ ენაზე – 2521 დასახელების 6.365 ეგზემპლარი. ბევრი წიგნი იყო ინგლისურ ენაზე.

“ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის” დირექტორისა და КОИРГО-ს ბიბლიოთეკარის ა. პ. ბერჟეს შეფასებით, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ინგლისელების მიერ კალკუტაში დაჰოლანდიელების მიერ ბოტავიაში გახსნილი ბიბლიოთეკების შემდეგ, თავისი დანიშნულებით, თითქმის ყველაზე საპატიო ადგილს იჭერდა აზიაში. მას უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა მოგზაურებისათვის, რომლებიც მასში ინფორმაციის უხვ რეზერვს ხედავდნენ კავკასიის მხარის შესახებ.

ცნობილი არიან ის პირები, რომლებსაც ერთგვარი ურთიერთობა ჰქონდათ დიუმასთან. წიგნებიდან მიღებულ ცოდნას ემატებოდა ის დიდი ინფორმაცია, რომლითაც შეეძლო ესარგებლა დიდებულ მწერალს მათთან დისკუსიების დროს. ესენი იყვნენ ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები: მეფისნაცვალი ა. ბ. ბარიატინსკი, თავადი ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ა. პ. ბერჟე, მიტროპოლიტი ისიდორე (ი. ს. ნიკოლსკი), პლატონ იოსელიანი – ისტორიოგრაფი, КОИРГО – ს ბიბლიოთეკის კომპლექტაციის კომისიის წევრი, რ. ა. ფადეევი – ცნობილი მწერალი, „კავკასიის 60 წლის ომის“ ავტორი, გაზეთ „Кавказский вестник“-ის რედაქტორი, ნ. გ. ბერძენოვი (ბერძენიშვილი) – გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორის მოადგილე, რომელმაც შენიშვნები დაურთო თბილისში რუსულ ენაზე „კავკასიის“ პირველ გამოცემას და გასწია მისი რედაქტირება, მირზა-ფატალი ახუნდოვი – ისტორიკოსი,

დრამატურგი, აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსი.

ენობრივი ბარიერი დიუმას არ უნდა შექმნოდა. თბილისის ბიბლიოთეკების წიგნების უდიდესი ნაწილი ფრანგული იყო. კავკასიელი ინტელიგენციაც საკმაოდ კარგად ფლობდა ამ ენას. ეს რომ სინამდვილეს შეეფერება, ნათლად ჩანს ქ-ნ ე. ვ. როსტოპჩინასაგან დიუმასადმი მიწერილ წერილიდანაც, რომელშიც ის საგანგებოდ არ განუმარტავს ერთ რუსულ სპეციფიკურ სიტყვას იმის გამო, რომ იცის, დიუმას აქვს საშუალება ამ სიტყვის ასახსნელად ლექსიკონებით ისარგებლოს.

ჰქონდა რა შესაძლებლობა თავის განკარგულებაში ჰქონოდა კავკასიაში ყველაზე დიდი, ცენტრალური ბიბლიოთეკების წიგნები, აგრეთვე მოწინავე ინტელიგენციისაგან კონსულტაციების მიღების პირობები, დიუმა თბილისში ღებულობდა ისეთ ცოდნას, რომლის მიღებასაც ვერსად ვერ შეძლებდა. უეჭველად ეს იყო იმის მიზეზი, რომ დიუმა ამდენ ხანს დაყოვნდა თბილისში. თავის ჩანაწერებში ის აღფრთოვანებით იგონებს ამ დღეებს. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისთვის ყველაზე ნათელი დღეებია, როდესაც მას მუშაობის კარგი საშუალება ეძლევა; სწორედ აქ, თბილისში ჰქონდა მას შესატყვისი პირობები.

“ძვირფასო თბილისო! – წერს ის, – მე გონებაში გავუგზავნე მას გულითადი მადლობა – მე ისე კარგად ვმუშაობდი მანდ...” „მე ისევ მივუბრუნდი სამუშაოს, ვისარგებლე რა თბილისში ყოფნით... და მოვასწარი ჩამეწერა ნაწილი ჩემი მოგზაურობის შესახებ, შემერჩია ორი თუ სამი სიუჟეტი კავკასიური ლეგენდებიდან... მე მთელ ცხოვრებაში არსად ასე სასიამოვნოდ არ მიმუშავია, როგორც აქ...” „რა მშვენიერი, რა მიმზიდველია მუშაობა, როცა ადგილის შეცვლის გამო ძალაუვნებურად მოწყვეტილი ხარ ჩვეულ გარემოს...” „მოგზაურობის დროს მე ბევრ რამეს ვიყავ მოკლებული... მაგრამ ჩემთვის ყოველთვის ყველაზე ძნელი მუშაობისაგან მოწყვეტა იყო. თბილისში კი მე

მოლიანად ვცურავდი მელანში“...

მეცნიერებაში არის შემთხვევები, როცა რაიმე მოვლენაზე პირდაპირი წყარო არ მოიპოვება, მაგრამ იმდენად უდავო ვარაუდი შეიძლება იყოს, რომ დასაშვებია უტყუარი დასკვნები იქნეს გამოტანილი. ამგვარ თავისებურებასთან გვაქვს ამ შემთხვევაში ადგილი. ამდენად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ა. დიუმა თბილისში ყოფნის დროს უეჭველად სარგებლობდა КОИР—ГО—სა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკებით, და იმ ადამიანთა გულისხმიერი დამოკიდებულებით, რის წყალობითაც ის სასარგებლო ინფორმაციასა და კონსულტაციებს მოიძიებდა.

ლიტერატურა:

Бейнарович О. Л. Случайность и закономерность в произведениях Александра Дюма // Вестник Санкт-Петербургского Государственного Университета: вып. 2, № 9, стр. 83—90.

Берже А.П. Продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки в 1861—1865 годах. — Тифлис, 1866.

Буянов М. И. О "Кавказе" Дюма // А. Дюма, Кавказ. — Тбилиси, 1988. — стр. 6—14.

Буянов М. И. Дюма в Дагестане: Художественное исследование. — М., 1992.

Буянов М. И. По следам Дюма. — М., 1993.

Буянов М. И. Дюма в Закавказье: Художественное исследование. — М., 1993.

Дюма А. Кавказ: Путешествие А. Дюма / перевод Родоровского; вып. 1—2. — Тифлис, 1861.

Дюма А. Кавказ: изд. 2-ое. — Тб., 1988.

КБ, Критика и библиография. // Записки КОИРГО, 6. — 1864.

КК, Кавказский календарь за 1858 год. — Тб., 1859.

ЛО, Летопись отдела // Записки КОИРГО, 5. — 1862.

Никитин В. А. Путешествия реальные и воображаемые // Дюма А., Доза А. Путешествие в Египет. — М., 1988.

Отчет о состоянии и действиях отдела за 1859—1864 год // Записки КОИРГО. — 1864.

ნატო მჭედლიშვილი

ქვანი აღმოსავლეთის ზიზნიოთაჲი (უზუაჩი, სათაზი, აზვიზბა)

შედარებით ძველი დამწერლობითი ტექსტები მესოპოტამიაში (ძვ. წ. 2900-2500 წ. წ.), შუმერულ ენაზეა დანერილი. მათ შორის აღსანიშნავია ე. წ. "სამეფო სია" — შუმერის მმართველთა სია. მასში მოხსენიებულია გილგამეში — შუმერთა მეფე, რომელიც მოგვიანებით მთელი რიგი შუმერული ეპოსის გმირი გახდა.

პირველი ბიბლიოთეკების დაარსება განაპირობა შუმერული კულტურის განვითარებამ. ადამიანის შემეცნება არა მარტო კოსმიური სისტემის განცდაა, არა მარტო შეგრძენება უწყვეტი კავშირისა ღმერთებთან, არამედ მინიერი ცხოვრების, როგორც მისი შემადგენელი ნაწილის, აღქმა, რაც იდეალურადაა

გამოხატული როგორც ძველ შუმერულ ტექსტებში, ასევე აქადეურ ეპოსში გილგამეშზე. ადამიანს უჩნდება სურვილი, დააფიქსიროს ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც მის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ჩნდება არამარტო ინფორმაციის გადაცემის სურვილი დამწერლობის სახით, რომელმაც უკვე მიიღო პიქტოგრაფიული ან იეროგრაფიული ფორმა, არამედ ამ დოკუმენტის შენახვის სურვილიც. აუცილებელი გახდა წერილობითი ფორმით შექმნათ თავისებური "სამახსოვროები", იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად

(პირველ მსოფლიო ომამდე წარმოებდა და 1927 წ. განახლდა), ყველაზე ძველი ბიბლიოთეკები აღმოჩენილ იქნა შუმერთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მდინარე ევფრატის სანაპიროზე მდებარე ქალაქებში, არქეოლოგებმა მიაკვლიეს თიხის ფირფიტებს (თიხის ტაბულეები) ანონიმური ნაწარმოებები ძველი რუქებით, ლიტერატურული ტექსტებით, მათემატიკური შრომებით, სოფლის მეურნეობის და მეცნიერების სხვა დარგების ამსახველი ნაწარმებით. ქ. ლაგასში იქნა აღმოჩენილი 2000-ზე მეტი ტაბულა. ქ. ნიფურში – ქვეყნის რელიგიურ ცენტრში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რამდენიმე ათასი ფირფიტა, რომელიც ძვ. წ. 1700 წლით თარიღდება. ბიბლიოთეკა განლაგებული იყო 62 სათავსოში. აღმოჩენილი ფირფიტები იძლევა საშუალებას, თამამად ითქვას, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ.-მდე სახეზე იყო ლიტერატურის სისტემატიზაციის ელემენტები. უფრო მნიშვნელოვანი და მსხვილი ბიბლიოთეკები მიეკუთვნება მმართველთა სასახლეებს.

ჩვენამდე მოღწეული სასახლეების ბიბლიოთეკებს შორის უძველესად ითვლება ხეთების სახელმწიფოს მეფის ხათუსილი III-ის (ძვ. წ. 1283-1260) სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობდა ქვეყნის დედაქალაქში ქ. ხათუსში. ხეთების ქვეყანამ შვიდი საუკუნე იარსება ძვ. წ. II ათასწლეულში. იგი მდებარეობდა მცირე აზიაში, თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე.

1906-1907 წ. წ. თურქეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას ქ. ბოქაზკიოში (ანკარასთან ახლოს) აღმოჩენილი იყო 11 000 თიხის ფირფიტა. ისინი, ძირითადად, შედგება მეფის მიერ გამოცემული ბრძანებისა და ოფიციალური დოკუმენტებისგან. კოლექციაში გვხვდება აგრეთვე რიტუალური ტექსტები, ცერემონიალების აღწერა, ლიტერატურა ცხენების მოვლის შესახებ, და სხვა "წიგნები". შუმერული ტაბულეებისაგან განსხვავებით, ამ წიგნებზე მითითებული იყო წიგნის სათაური, წიგნის გადამწერის სახელიც კი. არის იმის საფუძველიც, ვივარაუდოთ, რომ არსებობდა კატალოგიც.

ყველაზე ცნობილი სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, გახლავთ აშურბანიფალ I-ის (ძვ. წ. 1112-1074)

ბიბლიოთეკა ასურეთში. ეს ბიბლიოთეკა მოიცავდა ასურეთ-ბაბილონის უნიკალურ ლიტერატურას და მდებარეობდა ქ. ნინევი-აში, ასურეთის დედაქალაქში. ბიბლიოთეკის ძირითადი ნაწილი განლაგებული იყო ე. წ. "ლომის ოთახში", რომელიც ლომზე ნადირობის სცენებით იყო მორთული. ფონდი მოიცავდა დაახლოებით 5000-10 000 ფირფიტას. მათში ინახებოდა მეფეთა სიები, მეფეთა გზავნილები, ქვეყნების სიები, მდინარეების, მთების დასახელებები, კომერციული ხასიათის მასალა, ნაშრომები მათემატიკაში, ასტრონომიაში, მედიცინაში, გრამატიკული ცნობარები და შრომები. ცალკე შენობაში ინახებოდა რელიგიური სახის ლიტერატურა. სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი ყველაზე სრულყოფილი ტექსტი გილგამეშის შესახებ, აქადურ ენაზე დაწერილი (მას მოისხენიებენ ასევე აღმოსავლეთ – სემიტურად და ბაბილონ – ასურელად).

მეტად მნიშვნელოვანი ცნობები არსებობს ფონდის აღწერილობის შესახებ. სპეციალურ იარღილებზე აღნიშნული იყო ნაწარმოების დასახელება; ოთახი, სადაც ის ინახებოდა; თარო, რომელზეც ის იდო. თითოეულ წიგნს ჰქონდა "ბიბლიოთეკის შტამში" ტექსტით: "აშურბანიფალის სასახლე, მეფეთა მეფის აშურის ქვეყნის მეფის, რომელსაც ღმერთმა ნაბუმ და ქალღმერთმა გალისტამ მისცა ყური და თვალი, რათა მოვიპოვო ჩემი სამეფოს მწერლების შემოქმედება".

"წიგნები" – ტაბულეები ინახებოდა სპეციალურ თიხის სკივრებში. თითოეულ თაროს ჰქონდა თიხის "ეტიკეტი" მეცნიერების დარგების მიხედვით, ფონდის დაცვას უზრუნველყოფდა უმკაცრესი გაფრთხილება: "ის, ვინც შეეცდება ამ ფირფიტების წაღებას... დაე თავისი მრისხანებით დაწყევლოს აშურმა და ბელიტმა, და მისი და მისი შთამომავლების სახელი სამუდამოდ იქნება დამხობილი ამ ქვეყნად".

ეგვიპტეში ბიბლიოთეკებს მოიხსენიებდნენ როგორც "წიგნის სახლს", ასევე "სიცოცხლის სახლს". პირველი განმარტება მიესადაგება ტაძრების ბიბლიოთეკებს, რომლებიც პტოლემეის ეპოქის დაწყებამდე ივარაუდება. "სიცოცხლის სახლი" მოიაზრება სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც

ტაძართან არსებობდა. აქ მოღვაწეობა და კვლევა-ძიება მიმდინარეობდა მედიცინის ხაზით. "სიცოცხლის სახლი" ბიბლიოთეკის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგრამ მასში დაცული წიგნებით სარგებლობდნენ რელიგიის და სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლები ანუ "ზიარებულნი". აქ იქმნებოდა სხვადასხვა სახის თხზულებები და "წმინდა წიგნები".

ბიბლიოთეკის მცველის ანუ ბიბლიოთეკარის თანამდებობა იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და მემკვიდრეობით გადაეცემოდა, იმდენად, რამდენადაც ამ საქმით შეიძლებოდა დაკავებულიყვნენ მხოლოდ ადამიანები, რომლებიც ფლობდნენ "უმაღლეს ცოდნას".

მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებების წერისას გამოიყენებოდა სწრაფი-იერატოკული ხელწერა, როგორც მოგვიანებით ბერძნები ეძახდნენ – "ფარაონის" ხელწერა. ძვ. წ. მე-14 საუკუნის II ნახევარში ეგვიპტეში განმტკიცდა მმართველობის თეოკრატიული ფორმა: სახელმწიფო და რელიგია გაერთიანდა. პოლიტიკური მართველობა ეკუთვნოდა უშუალოდ ფარაონს.

რაც შეეხება სასახლის ბიბლიოთეკას, ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა რამსესს ეკუთვნოდა (დაახ. ძვ. წ. 1290-1224). ეს ბიბლიოთეკა დაარსდა ძვ. წ. 1300 წელს. რამსესის სასახლის ბიბლიოთეკის შესავლელში იყო წარწერა: "სულის აფთიაქი". ეგვიპტეში წერის მასალად გამოიყენებოდა პაპირუსი. მასზე დაწერილი წიგნები ინახებოდა სპეციალურ ყუთებში და მოგრძო ჭურჭელში. ბევრმა პაპირუსმა ჩვენამდე მოაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკების უმრავლესობა განადგურდა.

არსებობს მხოლოდ მწირი ინფორმაცია ფონდის შემადგენლობასა და ეგვიპტის ბიბლიოთეკების კატალოგების შესახებ. მაგ. ედფუს ტაძრის ბიბლიოთეკაში (შენდებოდა ძვ. წ. 247-147), შემონახულია კატალოგი, რომელიც ტაძრის ერთ-ერთ კედელზეა ამოტვიფრული.

ზემოთ ჩამოთვლილი ბიბლიოთეკები არის პირველი ჩანასახები მეცნიერების განვითარების, მათი დიფერენციაციისათვის. მთლიანად, მეცნიერების სწავლების განვი-

თარების პირველი ეტაპი ხასიათდება როგორც ტაძრები მიღებული ცოდნის რაციონალიზაციის ეტაპი, რომელიც პირობითად შეიძლება "მეცნიერულად" მოვიხსენიოთ, გადმოცემულიწერილობითი ფორმით, დოკუმენტის სახით დაფიქსირებული, რომელსაც შეუძლია ინახებოდეს "თავისთავად", ადრესატის მიუხედავად.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ძველი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკა შეიძლება განვიხილოთ როგორც დაწესებულება, რომელიც ასრულებდა დოკუმენტის შეგროვების, გადანერის და შენახვის ფუნქციას.

2. გვხვდება დოკუმენტის სისტემატიზაციის ელემენტები და მათი გახსნა გარკვეული ფორმის კატალოგებში (სისტემატური – აშურბაინიფალის ბიბლიოთეკაში, ანბანური – თურქეთის ტერიტორიაზე).

3. ბიბლიოთეკის უპირველესი ფუნქცია – ფონდთან დაშვების გარანტია, მომხმარებელთა მომსახურება, ძველ აღმოსავლეთში არ არსებობდა. თუმცა მცდელობა, ჩამოეყალიბებინათ ურთიერთობა, ბიბლიოთეკასა და საზოგადოებას შორის, ბიბლიოთეკას და ხელისუფლებას შორის, უკვე არსებობდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიოთეკები დასაბამიდან ხელისუფლების სიმბოლოსა და მის ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

4. ძველი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკა ერთდროულად ბიბლიოთეკაცაა და არქივიც. საარქივო საწყისი გამოიხატება არამარტო იმით, რომაქინახებოდასახელმწიფომნიშვნელობის დოკუმენტები, არამედ იმითაც, რომ აქ დოკუმენტის ერთადერთი ეგზემპლარი იყო დაცული.

5. ეგვიპტის ბიბლიოთეკებიდან ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები იძლევა ინფორმაციას, რომ ზოგიერთი მასალა გადაუწერიათ და გადამწერის გვარიც მოიხსენიება, თუმცა ბიბლიოთეკა, საერთო ჯამში, მაინც შორს დგას კოპიის შექმნისაგან – სკრიპტორიისაგან.

6. ძველი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკები უნდა განვიხილოთ როგორც "ბიბლიოთეკის ჩანასახი", "პრობიბლიოთეკა". ასევე ვერ განვიხილავთ მათ როგორც მეცნიერულ დაწესებულებას, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, იმდენად რამდენადაც იმ პერიოდში მეცნი-



ერება არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ "მეცნიერულ სწავლებებზე", თუმცა ბიბლიოთეკის საქმიანობაში უდავოდ უკვე მოიხზრება მეცნიერული მოღვაწეობის გარკვეული ელემენტები (ნაშრომები მათემატიკაში, ეკონომიკაში, გეოგრაფიაში, მედიცინაში და ა. შ.).

7. ძველ აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში გვხვდება ბიბლიოთეკების ორი ტიპი:

- ა) ტაძრებთან არსებული ბიბლიოთეკები;
- ბ) მმართველთა სასახლეებთან არსებული ბიბლიოთეკები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელოვანი აკაკი. მითოლოგიური ლექსიკონი, – თბ., 1983;
2. ლორია ა. სურმავა მ. საბიბლიოთეკო საქმის ისტორია: ნაკვეთი პირველი – თბ., 2006.
3. Володин, Б. Ф. Всемирная история библиотек – СПб. Профессия, 2002 – 358с. – гл. I, с. 15 – 23.
4. Кацпржак Е. И. История Книги: Общая история письменности и книги. – М.: Книга, 1964.

ტერმინოლოგიური კიბეანი



ბადრი ცხადაძე

**პანაოგრაფიულ-ნიგნეცოდნობითი ტერმინები ქართულში:
1. ქალაქი. 2. ფარაბინა ქალაქი**



ქალაქი, როგორც საწერი მასალა, საწერ მასალათა შორის (როგორცაა: თიხის ფირფიტა, ქვა, ქილი, ეტრავი და მისთ.) ყველაზე ახალია. იგი წარმოშობით არაბული სიტყვაა, რომელმაც იმთავითვე გავრცელება პოვა წიგნიერ სამყაროში. ის სხვადასხვა ტიპის ენებში "ინტერნაციონალური" სიტყვის ფუნქციით დამკვიდრდა (შდრ.: ძველი სომხ. ქალად, ძველი ქართ. ქალადი, თურქ. ქალაზ), თუმცა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში იგი არქაული, თავდაპირველი ფორმით იხმარება: ქალადი: "არა წერდენ უდაბნოსა ამას მყოფნი მწერალნი ცხორებათა და სიტუათა წმიდათა მამათასა ეტრავსა ზედა, არამედ ქალადსა ზედა, რამეთუ ეგულების მომავალსა ნათესავსა ახოცაი ცხორებასა წმიდასა მამათასა და წერად სხუასა რასმე ნებისაებრ მათისა" (მამ. ცხ. 32 V) [1,452].

ძველი ქართული ენის ეს წერილობითი ძეგლი – "მამათა ცხორებანი", როგორც ცნობილია, XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, მაგრამ იგი, როგორც ნათარგმნი თხზულება, ბევრად ძველია [2, 2-3]. ასე რომ, ქალადი, როგორც ლექსემა და როგორც საწერი მასალა, ჩვენი წინაპრებისთვის იმთავითვე ცნობილი ყოფილა.

ქალადს, როგორც ნიგნეცოდნობით-პალეოგრაფიულ ტერმინს, სულხან-საბა ორბელიანიც კარგად იცნობს, რაც ნათლად ჩანს ეტრავ სიტყვის განმარტებიდან: "ეტრავი – ტყავის ქალადი [3, 240].

დ. ჩუბინაშვილი "ქალად" სიტყვას სპარსული წარმოშობისად მიიჩნევს [4, 1330] – ანალოგიურ ახსნას გვთავაზობს ნ. ჩუბინაშვილიც: "ქალადი – ქარტა საწერი, ანუ სათამაშო, თ. ქალაზ [სპ]. [5, 401].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვატომეული) მიხედვით, ქალადი წარმოდგარია არაბულ-სპარსული ქალადისაგან [6], რაც ქართულში ნიშნავს:

1. სპეციალურ საწერ მასალას (ან სახატავ, საბეჭდ და მისთ.)
2. ძველად, XIX ს-ში, ქალადი განცხადების მნიშვნელობითაც უხმარიათ ("აბა, შენი ჭირიმე, ერთი ქალადი დაგვიწერეთ". ილია).
3. იგი ნიშნავდა ნიგნეცაც: "ეგ ქალადებში სწერია, თუ გადმოუციათ მხოლოდ სიტყვითა საუკუნით საუკუნემდე" (ი. მაჩაბლის თარგმანი).
4. ძველადვე ქალადი ოფიციალური ხასიათის წერილობით დოკუმენტსაც (მინერი-

ლობა, ბრძანება, განკარგულება) აღნიშნავდა, კერძოდ, თამასუქის მნიშვნელობაც დაკისრებულია. უფრო მეტიც: ფართო მნიშვნელობით ქალაღდი ყოველგვარი საქმიანი ხელნაწერი ან მანქანაზე დაბეჭდილი დოკუმენტის შინაარსის შემცველია [6].

ასე რომ, არაბულ-მაჰმადიანური სამყაროდან, საფიქრებელია, ქალაღდ სიტყვა არაბეთიდან სხვა მუსულმანურ ქვეყნებში (სპარსეთი...) შესულა, ასევე მის მეზობლად მყოფ არამაჰმადიანურ ქვეყნებში (სომხეთი, საქართველო...). თურქულ ენაში, ასევე თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში ქალიდ (kagit) ფორმით შერჩენილა [7, 599]. ღირსსაცნობია, რომ თურქეთშიც ბაშქალაღდი სპეციალური ოფიციალური დოკუმენტის სახელდებაა, მას გუბერნატორი გასცემს ამა თუ იმ პირზე. მასში ასახულია და მითითებულია ის უფლებამოსილება და ნებართვა, რასაც იურიდიული პირი, მოქალაქე თურქეთში ყოფნისას აპირებს (მაგ., დიალექტოლოგიური ან ფოლკლორული ტექსტების ჩანერა, კულტურული ძეგლის მოძიება-მონახულება და სხვ.).

II. ფარატინა ქალაღდი

ეს ფიგურული გამოთქმა თანამედროვე ქართულ ენაში საყოველთაოდ გავრცელებულია. აღსანიშნავია, რომ ორივე სიტყვა ამ სინტაგმისა – ფარატინა ქალაღდი, უცხოური წარმომავლობისაა. ფარატინა ანუ ფარატინი სპარსული ენის მეშვეობით დამკვიდრებულია ქართულში: ჭარადინ "წვრილი, მცირე". იგი დღეს ორი მნიშვნელობით იხმარება:

1. "ძველის ნაგლეჯი" (საბა), ნაგლეჯი, ნაფლეთი ძველი ქსოვილისა. ქალაღდისა...
2. გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს ყოველგვარ მნიშვნელობამოკლებულს [6, 19].

მხოლოდ ქართული ენის ქიზიყურ მეტყველებაში ეს სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით დაუფიქსირებია სტეფანე მენტეშაშვილს: "ფარატინები, მრ. ტანისამოსის ნაფლეთები" [8, 182], მაგრამ იმავე ქიზიყურში ფარატინა მხოლობითი რიცხვითაც რომ არის ცნობილი, სხვა ეთნოგრაფიული წყაროებიც ადასტურებენ. როგორც ირკვევა, ძველად ქიზიყში, უხეირო, ძველ ტანისამოსს ფარატინას ეძახდნენ [9, 16].

ჩანს, ფარატინა იმთავითვე "არაფერში

ჩასაგდება, უვარგისი ნივთის მნიშვნელობით უხმარიათ. ცხადია, ფარატინა ქალაღდი (ისე როგორც "ფარატინა სამოსი") ძალადაკარგული, იურიდიული დოკუმენტის არმქონე შინაარსის შემცველ ტერმინად გარდაქმნილა. ასე რომ, ფარატინა ქალაღდი იგივეა, რაც "ცარიელი ფურცელი", ძალადაკარგული საბუთი. ღირსსაცნობია, რომ ტერმინი არა მარტო პალეოგრაფიულ-ნიგნმცოდნეობით, არამედ იურიდიული შინაარსის გამომხატველ ტერმინადაც მოვლენია ქართულ ენას.

P.S. არაა გამორიცხული, ფარატინა-ს დაუკავშირდეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში დღემდე არსებული ისეთი სიტყვა-ფორმები, როგორცაა: ფანცი (ქიზ.) ქსოვილი, ფანცი-ფუნცი (ქიზ.) ფარჩეულობა, ქსოვილი) და ქართ. ფართი-ფურთი, ფართალი... რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

დამონმებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.
2. მამათა ცხორებანი: (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა) / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმ – თბ., 1975.
3. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი: ტ. IV; ლექსიკონი ქართული. / ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1965.
4. ჩუბინაშვილი დ. რუსულ-ქართული ლექსიკონი: მეორე გამოცემა; აღდგენილი ოფსეტის ნუსით / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.
5. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. / აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. – თბ., 1961.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვატომეული). / არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით; ტ. VII, – თბ., 1962.
7. ფუტყარაძე შ. ჩვენებურების ქართული: ნიგნი პირველი. – ბათუმი, 1993.
8. მენტეშაშვილი სტ. ქიზიყური ლექსიკონი. – თბ., 1943.
9. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის: ტ. III, ნაკვეთი II. – თბ., 1983.

გ. თაყნიაშვილი

მნიშვნელოვან დაკავშირებულ ტერმინებს

მნიშვნელოვან დაკავშირებულ ტერმინებს

ბიბლიოთეკის სულხან-საბა ორბელიანის

დაკავშირებული ნაშრომები

სულხან-საბა ორბელიანის "ქართული ლექსიკონი" ("სიტყვის კონა") უხვად შეიცავს მნიშვნელობასთან დაკავშირებულ ტერმინებს. ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ლიტერატურული ენით და ლექსიკონში გაბედულად შეაქვს ცოცხალ სამეცნიერო ენაში არსებული ტერმინები. აღნიშნულ ლექსიკონზე ავტორს სამი ათეული წლის განმავლობაში უმუშავია (1685-1716), ლექსიკონზე მუშაობისას იგი იყენებდა მეცნიერულ კონსულტაციას, კრიტიკულად უდგებოდა ყოველ ენას, "გამონვლილვით" ამონებდა მათ. ამ საქმეში დიდად ეხმარებოდა სომხური და თურქული ენების პრაქტიკული ცოდნა. ა. ბარამიძის აზრით, "სომხური და თურქული (აზერბაიჯანული) პრაქტიკულად შესწავლილი ჰქონდა ბავშვობიდანვე; საორბელოში, ტანძრის მახლობლად, მაშინ საკმაოდ იყო სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა" (1.19). ლექსიკონზე მუშაობისას ავტორს ასევე გამოუყენებია "რუსთა და არაბთა წიგნებიც". ამ თვალსაზრისით, ლექსიკონი ენციკლოპედიური ხასიათისაა, სადაც მითითებულია ცალკეული ტერმინების წარმომავლობა.

სალექსიკონო მასალა სულხანს შეუფაროვებია "ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა", შეუსწავლია და გამოუძიებია ქართული სამწერლო ძეგლები, დაჰკითხებია მცოდნე პირებს. "რომელმან დამაჯერა, იგი დავწერე, რომელმან არა ემონა, არცა მე დავწერო", - აღნიშნავს ის. მას ფართო განათლება ჰქონია მიღებული ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია მის ნამუშევარს. ლექსიკონში მრავლადაა წარმოდგენილი პირთა და გეოგრაფიული სახელები (ონომასტიკა და ტოპონიმია), ქართულ სიტყვათა უცხოური შესიტყვებები ძირითადად ლათინური, სომხური, თურქულია, ლექსიკონი განკუთვნილი იყო "სწავლის მოყვარულთათვის". ნაშრომში უხვადაა წარმოდგენილი მიმღებობითი ფორმები.

ლექსიკონზე მუშაობა სულხან-საბა ორბელიანს ობიექტურმა გარემოებებმა უკარნახა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ქართველებს "ადრინდელი

ლექსიკონი დაუკარგავთ და ენა ქართული თვისითა ნებისად გაურყენიათ". ლექსიკონის შექმნის მთავარი იდეა იყო ქართული ენის დაცვა. ნაშრომი ჩვენამდე მოღწეულია 9 სრული ავტოგრაფიული ნუსხით. მასში ჩართულია სახმარი სიტყვები, მოსწავლეთათვის გამართული, "რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და გავრცელებული



ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძენისა და გონიერისა, რომელთა იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი." ნაშრომის სხვა ადგილზე ავტორი ცხადად მიანიშნებს, რომ ბევრი ცნება და ტერმინი შეაჯერა და გადმოიღო უცხოურ ენებზე არსებული წყაროებიდან: "მე მრავალი სიტყვა დამიშთა, რომელი მე არა სმენითა და წერილითა უნახაოთა, რომელიმე ნუსხათა დაკარგვითა და დავიწყებითა, გარნა რაოდენ ძალმედვა ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გადმოვიღე." ნაშრომს "სიტყვის კონა" ვახტანგ მეექვსემ უწოდა, რომელიც აღტაცებული იყო ლექსიკონის მრავალმხრი-

ვობით და მეცნიერული მიდგომით.

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში, ცხადია, სულხან-საბა გვერდს ვერ აუვლიდა მნიშვნელობასთან დაკავშირებულ ტერმინებს. მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მოქმედ ეკლესია-მონასტრებში იწერებოდა ხელნაწერები და იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომები. "ლექსიკონი ქართული"-ს ორივე ტომში უხვადაა წარმოდგენილი წიგნთან, საწერ მასალასთან და საშუალებებთან დაკავშირებული ტერმინები და ცნებები.

წინამდებარე წერილში შევეცადეთ შემოკლებული განმარტებებით წარმოგვედგინა "სიტყვის კონაში" არსებული ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია წიგნსა და მნიშვნელობასთან.

ასო - წიგნისა მარცვალი, ასოთა დასმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ასო ეწოდების მარცვალთა წიგნისათა.

ავთრათი - მცირე მინანერი.

აკითხვა - წიგნი ანუ უსტარი აღმოიკითხვის

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედების ასაქმები

(მოკლე ბიოგრაფიული ძრონიკა)*

1890 წ. იანვარი – ჟურნ. "ჯეჯილში" იბეჭდება ლექსი "ბაზალეთის ტბა", "ივერიაში" "ნიკოლოზ გოსტაშაშვილი". მთელი წლის განმავლობაში ილია სისტემატურად აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს.

აპრილში ილიას ირჩევენ ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ.

მაის-ივნისში ილია ესწრება იტალიელი მსახიობის ერნესტო როსის წარმოდგენებს – "მეფე ლირსა" და "ჰამლეტს", აქვეყნებს რეცენზიებს და თბილისსა და საგურამოში მასპინძლობს მსოფლიოში ცნობილი მსახიობს.

2 ოქტომბერს მონაწილეობს ვახტანგ ორბელიანის დაკრძალვის ცერემონიაში, ხოლო 14 ოქტომბერს დავით ერისთავის გარდაცვალების გამო ილია ბეჭდავს ნეკროლოგს.

21 ნოემბერს თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებას.

ამ წელსაც ილია მრავლად აქვეყნებს მონინავეებს, რომლებშიც აქტუალურ საკითხს ეხება.

1891 წ. – 15-18 მაისს ბანკის კრებებზე გრძელდება კამათი ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის.

19 მაისი – ილიას ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ირჩევენ.

ივლის-აგვისტო-სექტემბერში ილია საბანკო საქმეების მოსაგვარებლად და სამკურნალოდ მოსკოვსა და პეტერბურგში იმყოფება.

17 ოქტომბერი – ილია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით

წერილით თხოვს ალექსანდრე ხახანაშვილს პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენას.

დეკემბერი – ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი კრებული "ხომლი" აქვეყნებს ილიას ლექსებს: "მძინარე ყმაწვილს", "გუთნის დედა", "ქართველის დედას", ნაწყვეტებს "აჩრდილიდან", "მეფე დიმიტრი თავდადებულიდან" და "კაკო ყაჩაღიდან". ამავე ხანაში ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა იწყებს ილიას თხზულებათა ბეჭდავას.

1892 წელი, 26 იანვარი – ილიას ირჩევენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ.

მარტის დასაწყისი – ქართული წიგნების ბეჭდვის ამხანაგობა გამოსცემს ილიას თხზულებათა ოთხტომეულის პირველ ტომს, ივნისში გამოდის მეორე ტომი.

ოქტომბრის 9 – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილიას თაოსნობით ღებულობს გადაწყვეტილებას ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებაზე.

ნოემბრის დასაწყისში ქვეყნდება ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხტომეულის IV ტომი.

ამ წელს ილია სისტემატურად აქვეყნებს მონინავეებს, პუბლიცისტურ წერილებს, მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებათა კრებებში, მათ შორის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, რომელიც იხილავს კახეთის რკინიგზის დაფინანსების საკითხს, ესწრება მონინავე მოღვაწეთა დაკრძალვებს, მათ შორის – ივანე კერესელიძისა და ივანე პოლტორაცკისა.

* გაგრძელება. დასაწყისი 2007, № 3, 4.

ამ წელს ქვეყნდება ვ. აბაშიძის მიერ შედგენილი კრებული "ჩანგი" და ი. გოგე-ბაშვილის "ბუნების კარის" მე-7 გამოცემა, რომლებშიც უხვად არის თავმოყრილი ილია ჭავჭავაძის ადრინდელი ნაწარმოებები.

1893 წ. 10 მარტი – თბილისის გუბერნატორი პოლციის დეპარტამენტს უგზავნის უწყისს, რომელშიც სხვა პირებთან ერთად, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მოხსენებულია ილია ჭავჭავაძეც, რომელსაც უნიშნავენ უვადო თვალთვალს.

25 აპრილი – ილია მონანილეობს განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნემტის დიდუბეში გადმოსვენების სამგლოვიარო ცერემონიაში და წარმოსთქვამს სიტყვას.

ივნისში გამოდის ილიას თხზულებათა მესამე ტომი. ამით მთავრდება ოთხტომეულის გამოცემა, რომელიც ითვლება ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთ პირველ თხზულებათა კრებულად.

ივნისში ორი კვირის განმავლობაში ილიამ დავით მიქელაძესა და არტურ ლაისტთან ერთად იმოგზაურა თელავის მაზრაში დამძეულ სოფლებში მდგომარეობის შესასწავლად.

20 ივლისი – ილია საგურამოში იხდის სახელწოდების დღეს – "ილიაობას", რომელიც დიდ ზეიმად იქცა.

19 დეკემბერი – ილია ქაშვეთის ეკლესიიდან ალექსანდრე ყაზბეგის ნემტის გადმოსვენების ცერემონიაში იღებს მონანილეობას.

ამ წელსაც ილია მრავალ მონინავესა და აქტუალურ სტატიებს წერს, ესწრება სხვადასხვა სხდომებს, მოგზაურობს, აქვეყნებს საზოგადოების ანგარიშებს. ამ წელს გამოცემულ ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის 38-ე ტომში ქვეყნდება სტატია მის შესახებ.

1894 წლის თებერვალში ილია "ივერიის" რედაქციის თანამშრომლებთან ერთად სტუმრობს გორს.

მარტში ოზურგეთში გამოდის კ. ოცხელის მიერ შედგენილი ლექსების კრებული "სოი-

ნარი", რომელშიც დაბეჭდილია ილიას ლექსები: ელეგია, გუთნის დედა, ქართველის დედა.

12-26 მაისს ილია მონანილეობს ბანკის კრებაში და გამძაფრებულ პოლემიკაში ებმება მიხეილ და ივანე მაჩაბლების წინააღმდეგ.

25 მაისს ბანკის კრებაზე ილიას ირჩევენ მმართველობის თავმჯდომარედ.

ივნისში ქვეყნდება ილიას მიერ შედგენილი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია ვ. ორბელიანის ლექსების კრებულში.

20 ივლისი – საგურამოში იხდის სახელობის დღეს, რაც ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს.

4 დეკემბერი – ილია მეუღლესა და ეკატერინე გაბაშვილთან ერთად მცხეთაში ხვდება საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მარჯორი უორდროპს.

ილია კვლავ აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა საზოგადოებათა კრებებში და წერს მრავალ მონინავეს "ივერიისათვის", "ბუნების კარის" მე-8 გამოცემაში კვლავ ქვეყნდება ილიას ბევრი ნაწარმოები.

1895 წელი, შემოქმედებითი თვალსაზრისით, მძიმე იყო ილიასათვის. ძირითადად, კვლავ მონინავეებს აქვეყნებს, უმეტესად ეწევა საზოგადოებრივ-სამსახურებრივ საქმიანობას – ჩადის ბათუმში ქალაქის თავის არჩევნების ორგანიზაციისთვის, მონანილეობს ნ. კ. გამაფრცვლებელი საზოგადოებისა და ბანკის წლიურ კრებებში, თბილისის თავად-აზნაურთა კრებაში, მეუღლესთან ერთად ესწრება კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და სხვ.

ჟანდარმერია ჩხრეკს ილიას ბინას, ეძებენ ანტისახელმწიფოებრივ სამხილებს.

1896 წ. 9 თებერვალს ილია "ივერიაში" ათავსებს ჟურნალ "მოამბის" პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. აღტაცებას გამოთქვამს ივ. მაჩაბლის მიერ შექსპირის "იულიუს კეისრის" თარგმნის გამო.

10 მარტს ილია სიტყვას ამბობს გაბრიელ

ეპისკოპოსის დაკრძალვაზე გელათში.

10 მაისს მთავარმართებლის საბჭოს გამოაქვს გადაწყვეტილება "ივერიის" 8 თვით დახურვის შესახებ. 17 მაისიდან გაზეთის გამოცემა შეწყდა.

20 მაისს ბანკის სხდომაზე ილიას კვლავ ირჩევენ ბანკის თავმჯდომარედ.

20 ივლისს ილია იხდის თავისი სახელობის დღეს, რომელსაც ესწრება მარჯორი უორდროპიც.

ოქტომბერში რუსულ პრესაში ქვეყნდება ილიას ნაწარმოებების რუსული თარგმანები. ამ წელს "ბუნების კარის" მე-9 გამოცემაში კვლავ ქვეყნდება ილიას ლექსები და ნაწყვეტები პოემისა და პროზაული ნაწარმოებებიდან.

ამ წელს ილია კვლავ აგრძელებს მონინავეების გამოქვეყნებას, გამოსცემს საზოგადოების ანგარიშს, წერს პოლემიკურ პუბლიცისტურ წერილებს, ესწრება ამა თუ იმ საზოგადოებათა კრებებს, მათ შორის ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგანგებო კრებას რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

1897 წ. – ილია კვლავ აქტიურად აქვეყნებს მონინავეებს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებით, წერს რამდენიმე პოლემიკურ წერილს, მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების საქმიანობაში, ბანკის კრებებში.

17 იანვარი – 8-თვიანი შეწყვეტის შემდეგ კვლავ იწყებს გამოსვლას "ივერია".

27 მაისი – ბანკის კრება ილიას კვლავ ირჩევა ბანკის თავმჯდომარედ.

ნოემბრის ბოლოს ილიას აჯილდოვებენ ვერცხლის დიდი მედლით, როგორც ბოსტნეულ-ბაღრეულობის კავკასიის პირველი გამოფენის მონაწილეს.

უმთავრესად საქმიან დოკუმენტაციებს აქვეყნებს, დრო და დრო სხვადასხვა პერიოდული ორგანოები აქვეყნებენ მის ნაწარმოებებს, უმეტესად რუსულ თარგმანებს.

1898 წ. – ილია კვლავ აგრძელებს მწვავე მონინავეების ბეჭდვას, მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებ-

ებში: თბილისის გუბერნიის აზნაურთა კრებაში, რომელიც იხილავს ერეკლე მეფის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილეს გამართვის საკითხს, ხოლო 11 იანვარს ესწრება ერეკლეს მოსახსენიებელ წირვასა და პანაშვიდს სიონის ტაძარში, მონაწილეობს ილია ოქრომჭედ-ლიშვილის, ასევე ფოტოგრაფ ალ. როინაშვილის დაკრძალვის პროცესს, იანვრის შუა რიცხვებში, როგორც თელავის მაზრის წარმომადგენელი, მონაწილეობს თბილისის გუბერნიაში ერთობის შემოღების შემმუშავებელ კომისიაში, აგრეთვე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების საქმიანობაში, ბანკის გამგეობის სხდომებსა და კრებაში და სხვ.

22 თებერვალი – სვეტიცხოველში ესწრება მეფე ერეკლეს დაკრძალვის 100 წლისთავის გამო გადახდილ წირვასა და პანაშვიდს. ამ პერიოდში ილია საკმაოდ რთული დაავადებითაა შეპყრობილი, მაგრამ მალე გამოუმჯობესდა და შეუდგა მუშაობას (იანვარ-თებერვალი).


მაისში ილია გამოსცემს ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშს.

ამ წელს ილიას მძიმე დამოკიდებულება აქვს ბანკთან – ნოემბერში ბანკი აქვეყნებს განცხადებას ვალში დარჩენილი მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ. სხვებთან ერთად მოხსენებულია ილია ჭავჭავაძეც, რომელსაც 7834 მანეთი ვალი აქვს ბანკის.

ამ წელს განზრახული იყო ილიას იუბილეს გამართვა მისი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, მაგრამ ვერც გასულ წელს და ვერც ამ წელს ეს ვერ მოხერხდა.

ილია სხვადასხვა დროს ღებულობს და მასპინძლობს საპატიო სტუმრებს – ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. კარლ ლემან ჰაუპტს, უკრაინელ მწერალთა დელეგაციას.

1899 წ. ილია შედარებით ნაკლებად წერს მონინავეებს, მაგრამ ბევრ მწვავე წერილსაც აქვეყნებს, მისი ძირითადი



ენერგია მიმართულია სტატიაზე "სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი"; აპრილში ეს ნაწარმოები ცალკე ნიგნად გამოდის.

აპრილში "სახალხო ნიგნის" სერიით გამოდის "მეფე დიმიტრი თავდადებული", "ივერიის" ფურცლებზე იბეჭდება "ქვათა ღალადის" გაგრძელება.

აგვისტოში იბეჭდება "ქვათა ღალადის" მეორე გამოცემა.

ნოემბრის 26 – "ივერიაში" ილია აქვეყნებს წერილს – "ასის წლის წინად (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში)".

ილია კვლავ მონაწილეობს ბანკისა და ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის საქმიანობაში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, გამოსცემს საზოგადოების ანგარიშებს, თავმჯდომარეობს თბილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების კრებასა და სხვ. მისი ნაწარმოებები ქვეყნდება "ბუნების კარის" მე-10 გამოცემაში, "ივერია" ბეჭდავს ა. პუშკინის ილიასეულ თარგმანებს; ილიას ლექსების თარგმანებს აქვეყნებს "Вестник иностранной литературы", ხვდება საქართველოში მყოფ ფრანგ მოგზაურ-ჟურნალისტთა ჯგუფს, ფრანგ მოგზაურ-არქეოლოგ ბარონ დე ბაისა და რუს მწერალს ევგენი მარკოვს.

ფრანგული ჟურნალი ბეჭდავს დ. კარიჭაშვილის წერილს – "ქართველი პუბლიცისტები და ილია ჭავჭავაძე", ელჩის მეიერის მოგონებას ილია ჭავჭავაძეზე, "Настольный календарь" – შიიბეჭდება ილიას რამდენიმე ლექსი რუსულად.

1900 წელი. 2 იანვარს ილია ქართული თეატრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო კრებაზე გამოდის.

იანვარში ბანკის საქმიანობა და კავშირებით ბაქოში მიემგზავრება, 16 იანვარს აქ ესწრება გიორგი წერეთლის პანაშვიდს, რომელიც გადაიხადეს იქაურმა ქართველებმა იმ დღეს, როცა ცნობილ მწერალს კრძალავდნენ. ილია 22-ში თბილისში ბრუნდება.

ამ წელს ილია ენერგიულადაა ჩაბმული

პოლემიკაში, განსაკუთრებით ნ. ჟორდანიასთან, რამდენიმე პოლემიკურ წერილს აქვეყნებს "ივერიაში", წერს მოწინავეებს, მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ საქმიანობაში – ირჩევენ საადგილმამულო გადასახადების შემცირებისათვის შუამდგომლობის კომისიაში, მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, ბანკის რწმუნებულთა კრებაში, ირჩევენ თბილისის სასამართლო პალატის მომრიგებელ მოსამართლედ 3 წლის ვადით, ესწრება ქართული გიმნაზიის შენობის (ახლანდელი ივ. ჯავახიშვილის უნი-ტი) საძირკვლის ჩაყრას, გამოსცემს ნ.კ. საზოგადოების მორიგ ანგარიშს. კვლავ ირჩევენ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ილია მასპინძლობს საქართველოში მყოფ იტალიელ მეცნიერ-მოგზაურს გულიელმო პასილის.

კვლავ ქვეყნდება ილიას ადრინდელი ნაწარმოებები. ფრანგული ჟურნალი იუნყება პოემა "განდეგილის" ი. მურიეს პროზაული თარგმანის გამოქვეყნების შესახებ; "კავკაზსკი ვესტნიკში" ქვეყნდება ა. ხახანაშვილის ბიბლიოგრაფიული სტატია, რომელშიც ჩართულია ილიას ლექსების თარგმანები უკრაინულ ენაზე, "ბუნების კარის" მე-11 გამოცემაში ილიას რჩეული ლექსები იბეჭდება. ასევე ქვეყნდება ილიას ლექსები ვ. აბაშიძის მიერ შედგენილ კრებულში – "ჩანგი".

ილია სერიოზულად ავადდება. მას საგურამოში მიკურნალობენ. შემდეგ გადაჰყავთ თბილისში, იწვევენ კონსილიუმს, რომელშიც მონაწილეობს კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ვაგნერი. მისი რჩევით, ილიამ გადანყვიტა ბერლინში გამგზავრება პროფესორ ლეიდენტან სამკურნალოდ.

4 ივნისს ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება საზოგადოების კრებას. "ივერიის" დროებით რედაქტორად ვასილ სულხანიშვილს ნიშნავს.

20 ივნისი – მეუღლესთან ერთად რიგის

გავლით სამკურნალოდ მიემგზავრება საზღვარგარეთ ბერლინსა და ვისბადენში.

26 ივნისი – გზად მეუღლეები ერთი დღით ვარშავაში ჩერდებიან. 27-ში ილია ბერლინში ჩადის და მკურნალობას იწყებს ლეიდენტან.

სექტემბერში უკან მომავალი ილია და ოლლა ერთი კვირით ვენაში ჩერდებიან.

15 სექტემბერს ილია და ოლლა თბილისში ბრუნდებიან.

12 ნოემბრიდან ილია კვლავ შეუდგა "ივერიის" რედაქტორობას.

1901 წ. ილიასათვის, შედარებით, უნაყოფო იყო, რასაც ძირითადად მისი ჯანმრთელობის შელახვა განაპირობებდა.

თებერვალში ილიას ამტკიცებენ "აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოების" თბილისის განყოფილების წევრად. მონაწილეობს სხდომებში.

21 აპრილი – ილიას ხელმოწერით ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აგზავნის წერილს გუბერნატორთან ნაძალადევში სამკითხველოს მოწყობის ნებართვის შესახებ. შემდეგ – 24 ივნისს ესწრება ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნას და ოქროს თუმნიანი შეაქვს ბიბლიოთეკის ფონდში.

ზაფხულში მეუღლესთან ერთად სამკურნალოდ მიემგზავრება ბერლინში პროფესორ ერნსტ ლეიდენტან და მხოლოდ ორი თვის შემდეგ ბრუნდება საქართველოში.

5 დეკემბერი – ილიას რედაქტორობით უკანასკნელად გამოდის "ივერიის" ნომერი (263). 6 დეკემბრიდან დროებით რედაქტორად ინიშნება ალ. სარაჯიშვილი, გამომცემლად ისევ ილია რჩება.

ილია ამ წელს შედარებით პასიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ნაკლებად აქვეყნებს მონაწილეებს, მაგრამ ესწრება საქველმოქმედო ღონისძიებებს.

1902 წ. ილია მთლიანად იფარგლება პუბლიცისტური შემოქმედებით. მიუხედავად ჯანმრთელობის შერყევისა, თავს არ ანებებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

აქვეყნებს რამდენიმე მონაწილეს და პოლემიკურ წერილებს, გაზეთ "კავკაზში" იბეჭდება მისი დრამატული პოემის – "დედა და შვილის" თარგმანი, რუსულ ენაზე გამოდის "ქვათა ლაღადი", "ბუნების კარში" (მე-12 გამოც.) კვლავ ქვეყნდება მისი შემოქმედების ნიმუშები. რამდენიმე წერილი იბეჭდება მისი შემოქმედების შესახებ (ივ. გომართელი, სტ. ჭრელაშვილი).

20 ივლისს "ივერიის" ¹ 153-დან გამოცემის უფლებები გადადის "ივერიის" ამხანაგობის ხელში.

1903 წელიც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი აქტივობით იწყება – 15 იანვარს ბანკის საერთო კრებაზე ირჩევენ ბანკის რწმუნებულად, 2 მაისს კვლავ ირჩევენ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ, 3-13 მაისს მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაში, სადაც წყდება ბანკისათვის შენობის აგების საკითხი, რკინიგზის მშენებლობა, სკოლების დაარსება და სხვა.

საკმაოდ დიდი გამოხმაურება აქვს "ქვათა ლაღადს". იანვრის მეორე ნახევარსა და თებერვალ-მარტში, ქართულ, რუსულ, სომხურ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება ცნობილ მოღვაწეთა სტატიები. პოლემიკა გრძელდა ივნისის ბოლოსა და ივლის-აგვისტოში.

მაისში თბილისის თავადაზნაურთა მიერ არჩეული დელეგაცია ილიას მეთაურობით მიემგზავრება გაგრაში პრინც პეტრეოლდენბურგელისათვის მადლობის მოსახსენებლად მის მიერ გაგრაში რეალური სასწავლებლის გახსნისა და მასში ქართველთა შვილებისათვის ადგილების გამოყოფის გამო.

20-21 მაისს გაგრისაკენ მიმავალი ილია ორი დღით ჩერდება ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას ესწრება.

24 მაისს ილია თანმხლები პირებით გაგრიდან სოხუმში მიდის. შერვაშიძეების სასახლის ვრცელ ეზოში უმართავენ ნადიმს, სადაც ილია სიტყვით გამოდის.

25 მაისს დელეგაცია სოხუმიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისათვისწერსავტობიოგრაფიას; წიგნში "პატარა ჩანგი" ქვეყნდება მისი უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოებები ასევე კრებულში "Весь Кавказ"; დრეზდენში გამოდის არტურ ლაისტის წიგნი "საქართველოს გული", რომელშიც მოცემულია ილიას ცხოვრების ამსახველი მომენტები და შემოქმედებითი ნიმუშები.

ილიას ფინანსური მდგომარეობა გართულებულია – 17 ივნისს შემფასებელი კომისიის წევრი ადგენს ილიას უძრავი ქონების შეფასების აქტს. ქონების ღირებულებამ შეადგინა 22.800 მანეთი. ეს აქტი მოჰყვა 19 მაისს ბანკის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას გადასახადების გადაუხდელობისათვის დაგირავებული მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ.

1904 წელი. უმეტესად ისევ საზოგადოებრივ საქმიანობაზეა გადატანილი ყურადღება: თავმჯდომარეობს საზოგადოების წლიურ კრებას, ესწრება ბანკის კრებებს, ნიკო ცხვედაძესთან ერთად ორჯერ მიდის გუბერნატორთან ნებართვის მისაღებად, რომ საზოგადოების ბიბლიოთეკიდან არ იყოს ამოღებული ქართული წიგნები.

ილია დიდი გულისტკივილით ეთხოვება თავის მეგობრებს: იანვარში ესწრება ვასილ ველიჩკოს მოსახსენებელ პანაშვიდს თბილისში, მაისში ესწრება ანჩისხატის ეკლესიაში ნ.კ. გამაფრცველებელი საზოგადოების გარდაცვლილ წევრთამოსახსენებელ პანაშვიდს, მონაწილეობს პეტრე უმიკაშვილის დაკრძალვის ცერემონიაში, ილიას თაოსნობით მოსახსენებელ პანაშვიდს უხდიან განსვენებულ სტეფანე ზუბალაშვილს.

ამ წელს ილიას არაერთი უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოები იქნა ხელმეორედ დაბეჭდილი. ნოემბერში წიგნის მალაზია "ცოდნა" გამოსცემს წიგნს – "ლექსები ილია ჭავჭავაძისა", "ივერია" ბეჭდავს

ილიას შეგონებებს "ქართული სიბრძნე", რომელიც გრძელდება დეკემბერშიც, ბათუმში სპ. ჭელიძის გამოცემით გამოდის წიგნი სახელწოდებით – "ორი პოემა", ილიას ლექსები ქვეყნდება აგრეთვე სპ. ჭელიძის მიერ შედგენილ კრებულში "ჩანგური", ლექსები და ნაწყვეტები მოთხრობებიდან ქვეყნდება "ბუნების კარის" მე-13 გამოცემაში.

პეტერბურგში გამოდის ვ. ველიჩკოს წიგნი "Арабески", რომელშიც შესულია ილიას ლექსები ველიჩკოს თარგმნით.

კავკასიის ქართველი სცენისმოყვარენი წარმოადგენენ ილიას "დედა და შვილს"

1905 წელი უმძიმესია ილიას მოღვაწეობისა თუ შემოქმედებისათვის. ძლიერდება მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელთა თავდასხმა, გლეხთა გამოსვლები.

თებერვლის ბოლოს სიტყვით გამოდის თავადაზნაურთა საკრებულოში, სადაც ბჭობენ, როგორ ააცდინონ გურიას ალიხანოვის ჯარის შესევა.

6 მარტი – ილია მონაწილეობს თავადაზნაურთა კერძო თათბირში, სადაც განიხილავენ გლეხთა მოძრაობის საკითხს.

1 აპრილი – ილია აქტიურად მონაწილეობს თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც იხილავს საქართველოს ავტონომიის საკითხს.

17 აპრილი – ილია "ივერიაში" ბეჭდავს ჟურნალ "მოგზაურში" გამოქვეყნებულ ცილისმნამებლურ კორესპონდენციაზე მოკლე პასუხს – "ბატონო რედაქტორო".

27 აპრილი – ყოველკვირეულ გაზეთ "კავკაზსკი კრაიში" ქვეყნდება ილიას ლექსის "ლოცვის" თარგმანი.

მაისის დასაწყისში მონაწილეობს ქართულ გიმნაზიაში მოწვეული კრების საქმიანობაში. მასწავლებლებს ბრალდება მოსწავლეთა აბუნტება. ილია იცავს მასწავლებლებს.

5 მაისი – ილია თავისი ხარჯით ბეჭდავს და "ივერიის" (168) ცალკე დამატების სახით ავრცელებს წერილს – "ნუ თუ?" (პასუხად "მოგზაურის" კორესპონდენციისა).

ქვეყნდება ილიას ლექსის "სანთელის" რუსული თარგმანი "კავკაზსკი კრაის" 17-ში.

28 მაისი – 4 ივნისი – ქვეყნდება ილიას წერილის "ნუ თუს" რუსული თარგმანი ("კავკაზსკი კრაის" მე-10 და 11 ნომრებში).

18 ივნისს მოხდა ინცინდენტი: ილიას უდიერად შეაწყვეტინა საანგარიშო მოხსენება თავად მ. ვეზირიშვილმა, რისთვისაც ილიამ ის დუელში გამოიწვია. დუელი აღარ შედგა, რაკი მ. ვეზირიშვილმა ბოდიში მოიხადა.

23 ივნისი – ბანკის კრებაზე ილია უარს აცხადებს ბანკის თავმჯდომარეობაზე და, საერთოდ, ბანკში მუშაობაზე.

5 ივლისს ილია ადგენს და ნოტარიულად ამოწმებს ანდერძს.

16 ივლისს მეფისნაცვლის საბჭოს სხდომაზე მისი მონაწილეობით იხილავენ საკითხს კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

18 სექტემბერი – ქვეყნდება ცნობა საგურამოში ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის შესახებ.

11 ოქტომბერი – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე კავკასიის მეფისნაცვალს დაუბრუნებლად საქართველოს დეპუტაციას, რომლის შემადგენლობაში შედის ილია ჭავჭავაძე.

ოქტომბრის ბოლოს გაზეთი "კავკაზი" ბეჭდავს ილიას "გაზაფხულს" და ნაწყვეტებს ლექსიდან "ელეგია" რუსულ თარგმანებს.

ნოემბერ-დეკემბერში კავკასიის მეფისნაცვლის დავალებით, ილია და გ. ჟურული მიემგზავრებიან პეტერბურგში სოლსკის კომისიაში მონაწილეობისათვის.

1906 წ. იანვრის დასაწყისში ილია პეტერბურგშია და გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში მონაწილეობს, ხოლო იანვრის პირველ დეკადაში ბრუნდება თბილისში.

20 თებერვალს ბანკის წევრთა კრებაზე ილიას ბანკის პირველი ჯგუფის რწმუნებულად ირჩევენ სამი წლით.

4 მარტი – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომისიამ დაადგინა სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ გედევანიშვილის გაგზავნა.

23 მარტის "ცნობის ფურცელში" ილია აქვეყნებს მეტად მწვავე წერილს – "იმერეთის თავადაზნაურობის სულ-მოკლეობა". წერილი გამოწვეულია მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის საპასუხოდ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის მიერ მეფისათვის სამადლობელი ადრესის გამო.

28 მარტს (ან 30 მარტს?) ილია მ. გედევანიშვილთან ერთად მატარებლით მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობისათვის. პეტერბურგში 2 აპრილს ჩადიან.

6-8 აპრილს ილია სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობს.

7 აპრილს ილია პეტერბურგში იძლევა ინტერვიუს, რომელშიც აცხადებს, რომ ის თავადაზნაურთა წარმომადგენელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ილაპარაკებს.

აპრილის შუა რიცხვებში ილია ბრუნდება თბილისში.

2 მაისს ილია მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაში მონაწილეობისათვის. 7 მაისიდან 12 ივლისამდე ის მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომებში.

22 ივნისი – ილია სიტყვით გამოდის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომაზე.

ივლისის მეორე ნახევარში ილია ბრუნდება თბილისში.

19 სექტემბერი – სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა ილიას წერილობით აცხადებინებს, რომ ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო შეუჩერეს პენსიის მიცემა.

ამ წელს ილია განიცდის ფინანსურ პრობლემებს, ამასთან ხშირად ავადმყოფობს. ფაქტობრივად მთლიანად შეწყვეტილი აქვს შემოქმედებითი მოღვაწეობა, ქვეყნდება

მისი ადრეული ნაწარმოებები.

ილია ზრუნავს, რომ საგურამოში დამსჯელი რაზმი არ ჩავიდეს, ეხმარება ყვარელში წყალნაღებულთა ოჯახებისათვის სახელმწიფოს მიერ დახმარების აღმოჩენისათვის.

1907 წ. თებერვალი – მეუღლესთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე მონაწილეობის მისაღებად.

20 თებერვალი – 5 ივნისი – მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიის სხდომებში.

აპრილის შუა რიცხვებში (17?) ილია სიტყვას წარმოთქვამს სესიაზე სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით.

ივნისის ბოლოს ილია პეტერბურგიდან ბრუნდება თბილისში.

12 აგვისტოს ილია დეპეშას უგზავნის ბათუმში გიორგი ჟურულს. შეწუხებულია გრიგოლ ვოლსკის დაჭრასთან დაკავშირებით და სიხარულს გამოთქვამს მისი გადარჩენის გამო.

21 აგვისტოს საგურამოში ილიას ესტუმრა არტურ ლაისტი.

27 აგვისტოს ილია მეუღლესა და არტურ ლაისტთან ერთად, მსახურ იაკობის თანხლებით საგურამოდან თბილისში მიემგზავრება.

30 აგვისტო – დილის 10 საათი. თბილისიდან საგურამოს მიემგზავრება ილია მეუღლითურთ.

პირველ საათსა და 30 წუთზე საგურამოდან 4 ვერსის დაშორებით ილიას ეტლს

თავს დაესხნენ. ილია მოკლეს. თავდასხმის დროს დაიღუპა იაკობ ბარათაშვილი. ოღლა მძიმედ დაშავდა. მკვლელებმა გაძარცვეს ყველანი, გარდა მეეტლე ლაბაურისა. ამავ დროს თბილისში გაძარცვეს ილიას სახლი. ილიას ნეშტი საგურამოში წაასვენეს.

1-8 სექტემბერს საქართველოს ყველა ქალაქში იმართება პანაშვიდები.

7 სექტემბერს ილიას ნეშტი საგურამოდან თბილისში გადმოასვენეს.

9 სექტემბერს ილიას ცხედარი დაასვენეს სიონის ტაძარში და უხდიან წირვა-პანაშვიდს. დაკრძალეს მამა დავითის მთაზე.

დაკრძალვის დღეს ხალხს უფასოდ ურიგდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი – "ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით".

შემდგენელი ალ. ლორია

შედგენილია ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის წიგნის მიხედვით – ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე; ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა: 1837-1907. – თბ., 1987.

შენიშვნა: 2007, №3-ში, წინა მონაკვეთში გაიპარა შეცდომა: ილ. ჭავჭავაძის თარგმანი "იზა" მიეწერება ჟორჟ ზანდს, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს. სინამდვილეში მისი ავტორია ბუვიე.



უტოფან ბიუტნარი

პროფესორი ციფრული მედიების დარგში

ბიბლიოთეკები და ციფრული პუბლიკაცია

ბიბლიოთეკების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა დღემდე მოქმედი ფუნქციები: მასობრივი ინფორმაციის მოპოვება, ათვისება, შეთავაზება და დაცვა. ერვისთან ერთად უმშეტერის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური "საბიბლიოთეკო მართვის სახელმძღვანელოს" გადამუშავება და განსაზღვრების მკაფიო ფორმულირება: "ბიბლიოთეკა არის დანესებულება, რომელიც საარქივო, ეკონომიკური და სინოპტიკური მოსაზრებით გამოქვეყნებულ ინფორმაციას მკითხველისათვის აგროვებს, ალაგებს და ხელმისაწვდომს ხდის (3).

დიდი ხნის მანძილზე არსებობდა შეთანხმებული აზრი ამ ფუნქციების, სახელმძღვანელო იდეების თაობაზე, რაც ქმნიდა საბიბლიოთეკო საქმიანობის პარადიგმას (5). გუტენბერგის მიერ ნიგნის საბეჭდი მანქანის გამოგონებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეცნიერებასა და საზოგადოებაზე. მარშალმა მაკლუჰანმა 1962 წელს კაცობრიობის ბეჭდვით საგანძურს "გუტენბერგის გალაქტიკაც" კი უწოდა (8). და რა ბედი ეწიათ ბიბლიოთეკებს? ისინი მეცნიერებისა და მედიის გამგებლებად აღზევდნენ. განვითარდა წესრიგის სისტემები, დადგინდა საბიბლიოთეკო წესები და ა.შ. საქმე თვითდინამიკამდე მივიდა. იმ დროს, ისევე როგორც დღეს, მომხმარებელს საბიბლიოთეკო წესებს აცნობდნენ.

ციფრული მედიისაშუალებებსა და ელექტრონულ პუბლიკაციებში ძალიან ხშირად დაისმის კითხვა ბიბლიოთეკის ფონდების უფლება-მოვალეობების შესახებ. "გაქრებიან" ბიბლიოთეკები


ნიგნის "გაქრობასთან" ერთად? შეინარჩუნებს ბიბლიოთეკა, როგორც დანესებულება, მნიშვნელობას? დარჩება ფუნქციები (მოპოვება, ათვისება, შეთავაზება და დაცვა) უცვლელი?


ამის გასარკვევად მრავალი კვლევა ჩატარდა. ბიბლიოთეკაში მისული მომხმარებლების რიცხოვნობისა და ბიბლიოთეკიდან გატანილი ნიგნების რაოდენობის დადგენის მიზნით ჩატარებულმა გამოკითხვებმა განსხვავებული შედეგები აჩვენა. კითხვის ფონდის (6) მიერ 2001 წელს განხორციელებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ გერმანიის ახალი მიწების ბიბლიოთეკებში მისულ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი – 1992 წელს 46% 2000 წლისთვის 30%-მდე შემცირდა. გერმანული ბიბლიოთეკის სტატისტიკა კი პირიქით, ზრდის ტენდენციას მიუთითებს:

სურ. 1. საჯარო ბიბლიოთეკებში მისულ მომხმარებელთა რაოდენობისა და ნიგნის გატანის მაჩვენებელი (წყარო – გერმანული ბიბლიოთეკის სტატისტიკა)

საჯარო ბიბლიოთეკები

- – მისულ მომხმარებელთა რაოდენობა
- X – გატანილ ნიგნთა რაოდენობა






ნიგნის გატანის მზარდ მაჩვენებელს ადასტურებენ სამეცნიერო ბიბლიოთეკებიც: მკითხველებმა 2000 წელს გაიტანეს 60,3 მილიონი ეგზემპლარი, 2004 წელს – 79,8 მილიონი.

ხოლო თუ სტატისტიკას, თუნდაც ბერლინის ცენტრალური და ფედერალური მიწის ბიბლიოთეკის მაგალითზე (19), უფრო ზუსტად დავაკვირდებით, დავინახავთ ცალსახა ტენდენციას – ბიბლიოთეკის ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობისთვის დამახასიათებელია ზრდის ორნიშნა მაჩვენებელი.

სურ. 2. ბერლინის ცენტრალური და ფედერალური მიწის ბიბლიოთეკის ვებგვერდით სარგებლობის ტენდენცია



● – ვებგვერდით სარგებლობის მაჩვენებელი

ვებგვერდით სარგებლობის მაჩვენებელი მომხმარებელი სულ უფრო მეტად მიმართავს ბიბლიოთეკის მომსახურების "ონლაინ" რეჟიმს. მომსახურების მრავალი სფეროსათვის ადგილზე მისვლა საჭირო აღარ არის. ჯერ კიდევ 1994 წელს ალგორი აღნიშნავდა (15) "...შესაძლებელია ყველა ქვეყნის ყველა სკოლა და ბიბლიოთეკა ჩაერთოს ინტერნეტში, მსოფლიოს უდიდეს კომპიუტერულ ქსელში, რათა შეიქმნას გლობალური ციფრული ბიბლიოთეკა. ყოველ მათგანს შეუძლია სერვერზე განათავსოს წიგნები და ჟურნალები ელექტრონული ფორმით, მიანიჭოს მათ

ინდექსები და მომხმარებელს გაუადვილოს მასალის პოვნა. რაც უფრო მეტი ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულად, მით უფრო მეტად გამოსადეგი გახდება გლობალური ბიბლიოთეკა."

მართლდება უმშტეტერისა და ევერსის განმარტება ციფრული ბიბლიოთეკის შესახებ? "ბიბლიოთეკის კლასიკური გაგებისაგან განსხვავებით, ციფრულ ბიბლიოთეკაში არ მოიაზრება მხოლოდ დაბეჭდილი წიგნები ან სხვა ანალოგიურად გამოცემული და დაცული დოკუმენტები. მათთვის არსებითია ორმაგი ინფორმაციის გავრცელება. კლასიკური დოკუმენტაციისაგან განსხვავებით, ისინი მასალას არამხოლოდ ბიბლიოგრაფიულად აღწერენ, არამედ მათ სრული ტექსტური სახით წარმოადგენენ" (3). ამით ფუნქციებს მნიშვნელოვანი ასპექტი – ხელმისაწვდომობა (Availability ან Accessibility) დაემატა, რამაც გამოიწვია კრიტიკოსების გააქტიურება. მათი აზრით, საუბარი ეხება არა ხელმისაწვდომობას, არამედ უმეტესწილად ხელმისაწვდომობის უფლებას და იმასაც, უნდა განათავსოს თუ არა ციფრულმა ბიბლიოთეკამ ინფორმაცია "აგრეთვე", თუ აუცილებლად ციფრულ ფორმატში?

როგორ ზეგავლენას ახდენს ამგვარი ტენდენცია ბიბლიოთეკის ფუნქციებზე? ესე იგი, საქმე სრული ტექსტის ხელმისაწვდომობას ეხება? მართებულია ხშირად ციტირებული წინადადება "ჰოლდინგ ბიბლიოთეკიდან ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკამდე?" მოკლედ რომ ვთქვათ, საუბარი აქ ძირითადად ისევ ორგანიზაციის ცენტრალიზაციის პრინციპს შეეხება!

ინტერნეტის მიზანი სამეცნიერო კომუნიკაციებისა და ინფორმაციების გაცვლის გაუმჯობესებაში მდგომარეობს. ვინაიდან ეს უპირველესად ბიბლიოთეკის ამოცანაა, ბიბლიოთეკებმა აიტაცეს ინტერნეტი. შეიცვალა ორგანიზების ფორმა, მაგრამ არა მისი ცენტრალიზაციის პრინციპი.

მომხმარებელმა აღიარა ინტერნეტი. მის გავრცელებასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანი გახდა საკითხი, თუ როგორ უნდა

მომხდარიყო დოკუმენტის პოვნა მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში. კლასიკური საინფორმაციო საძიებოს 40-წლიანი არსებობის შემდეგ, რომელიც მომხმარებელს არასდროს სწორად არ გამოუყენებია, გამოჩნდა ქსელის ბაზაზე შექმნილი ტექნოლოგია, რომელმაც მართლაც შეცვალა რაღაც.

ინტუიტიურად გამოსაყენებელმა საძიებო ტექნოლოგია Google-მა შეცვალა არა მომხმარებელი, არამედ ინფორმაციის მოძიების გზები და საშუალებები, შეამცირა მომსახურების დრო. აღარ არის აუცილებელი, მომხმარებელმა წაიკითხოს ინსტრუქცია კატალოგის ან მონაცემთა ბაზის გამოყენების შესახებ, ან მიმართოს მათ სარგებლობისათვის. ის ეძებს google-ს საშუალებით და ეგუება კომფორტული ინსტრუმენტების ნაკლებობას. რას ნიშნავს ეს ბიბლიოთეკებისათვის? რჩება კი ორგანიზაციის ცენტრალიზების პარადიგმა უცვლელი?

ბიბლიოთეკების ახალი ამოცანები

ტექნოლოგიები შენევენ თანამედროვეობას და ამით აღიარება მოიპოვებს. წინა პლანზე დგება არა ორგანიზაცია, დანესებულება მისი სახელმძღვანელო ნორმებით, არამედ მომხმარებელი! კოლმა (4) ძალიან ზუსტად განმარტა: "... შეზღუდულმა საშუალებებმა და ციფრული ინფორმაციის უსწრაფესმა გავრცელებამ ბიბლიოთეკები დააყენა აუცილებლობის წინაშე, შეიცვალოს მათი სტრუქტურა და მუშაობის წესი, რათა დადასტურდეს მათი ფუნდამენტური ფუნქციების (შეგროვების, შენახვისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ათვისების) მართებულობა. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ის უნდა შეიცვალოს, რათა შეუცვლელი დარჩეს."

მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირება საკმარისი არ არის. საერთოდ, მომხმარებლის შეცვლილ პრეტენზიებს უნდა გაეწიოს ანგარიში და მათი ინტეგრირებაც უნდა მოხდეს. აქედან ჩნდება ახალი ფუნქციების მთელი წყება. ზოგიერთ მათგანს მოკლედ შევხებით.

ბიბლიოთეკები როგორც სამომსახურებო

სერვისი სამეცნიერო კომუნიკაციაში

უკვე ბევრი დაინერა მომსახურებაზე ორიენტირებულ გააქტიურებულ მოთხოვნაზე. განმეორებით აქ ამ დისკუსიაზე არ შევჩერდებით. მიტლერმა (9) ჯერ კიდევ 10 წლის წინ ბერლინ-ადლერსჰოფში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით თქვა: "მინდა... ჩამოვთვთალო მე-3 ათასწლეულის ზღურბლზე მდგარი ბიბლიოთეკისა და მისი მომსახურებისათვის დამახასიათებელი ექვსი მიზანი, რომელიც შესაძლოა ქმნის უტოპიური, იდეალიზებული წარმოდგენების შთაბეჭდილებას, მაგრამ თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი ახლო, ხელშესახები მომავლისკენ არის მიმართული. მომავლის ბიბლიოთეკაში მომხმარებელი ღებულობს:

1. ყველაფერს, რაც სჭირდება;
2. ყველაფერს, როგორც სჭირდება;
3. ყველაფერს, როცა სჭირდება;
4. ყველაფერს, სადაც სჭირდება;
5. მეტს, ვიდრე იცის;
6. ყველა გამოქვეყნებულ ინფორმაციას თავისუფალი ხელმისაწვდომობის ფორმატში.

ამასთან დაკავშირებით ბოლო წლებში ბიბლიოთეკებში მომსახურების მრავალი მიმართულება განვითარდა. განსაკუთრებით ინოვაციური ბიბლიოთეკებისა და მომხმარებლებისათვის, ციფრული პუბლიკაციების კონტექსტში, მთავარია ღია არქივისა (Open Archiv) და ღია ხელმისაწვდომობის (Open Acces) (12) მოძრაობასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური რეპოზიტორიების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების მხრიდან, სრულიად კრიტიკულად განიხილება Google-ის ციფრული პროექტი – "Google Print" (ბეჭდვა Google-ით) ან "Google Book Search" (Google-ში წიგნის ძიება). ამასთან დაკავშირებით, უმშტეტერმა ცოტა ხნის წინ ბერლინის დიდ ყოველდღიურ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია სათაურით "ყველა წიგნი ქსელში", სადაც აღნიშნა: "წიგნების გაციფრების დრო მოვა.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებით ბიბლიოთეკების მხრიდან, სრულიად კრიტიკულად განიხილება Google-ის ციფრული პროექტი – "Google Print" (ბეჭდვა Google-ით) ან "Google Book Search" (Google-ში წიგნის ძიება). ამასთან დაკავშირებით, უმშტეტერმა ცოტა ხნის წინ ბერლინის დიდ ყოველდღიურ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია სათაურით "ყველა წიგნი ქსელში", სადაც აღნიშნა: "წიგნების გაციფრების დრო მოვა.

ეს მოხდება იმისათვის, რომ მარტივად მოვიპოვოთ გლობალური ცოდნა და დავიცვათ იგი დანაწევრებისაგან. დღეს რომ გამომცემლობები წიგნადი ფონდის გაციფრების წინააღმდეგ გამოდიან, სხვა არაფერს მაგონებს, თუ არა დაპირისპირებას ძველ და ახალ ეკონომიკას შორის. გაიმარჯვებენ ის გამომცემლები, რომლებიც ტექნიკურ პროგრესს მისდევენ და ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ. სხვებს ქსელი დასჯის." (10) ამაზე უფრო ნათელი და დასაბუთებული აზრი ძნელი წარმოსადგენია.

არა მედიის, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ბიბლიოთეკის გამოყენების ადრინდელი პრაქტიკა, როგორც წესი, იყო მედიის, ჟურნალის რომელიმე სტატიის და სხვათა ხელმისაწვდომობა. აინტერესებთ მეცნიერებს დოკუმენტები? დიახ, მაგრამ გარკვეული პირობით – მათ სჭირდებათ პასუხები კითხვებზე და ფაქტებზე ან ეძებენ ურთიერთკავშირებსა და მიზეზებს. ხომ არ ცვლის აქ რამეს ელექტრონული ჟურნალები? ჯერჯერობით არაფერს, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში მოღვაწე მეცნიერები უფრო მეტად კითხულობენ პერსონალურ კომპიუტერში ან კომპიუტერული ქსელის ბაზაში თავმოყრილ მასალებს.

სინამდვილეში ჩვენს ხელთ არსებული ელექტრონული ჟურნალები დღეს "გაციფრებულ ბეჭდვით პროდუქტს" წარმოადგენს. ეს იქნება გარდამავალი მოვლენა პარადიგმის უკვე მომხდარი ცვლილების ფონზე. ჟურნალი, როგორც ინფორმაციის თავმოყრის ადგილი, გაქრება (1). ელექტრონული ჟურნალები და შესაბამისად ელექტრონული პუბლიკაციები გამოსატყვევებენ მზადყოფნას, დამკვიდრდნენ ყველა დამოუკიდებელი მედიის ფორმით. აქ იგულისხმება, მაგალითად, ინტერაქტიული, მულტიმედიური ელემენტები, აგრეთვე შინაარსების (ტესტების, ილუსტრაციების, ცხრილების და ა.შ.) ჰიპერბმულით დაკავშირებული ქსელი. ეს ისევ და ისევ არც თუ ისე ხელშესახებ გავლენას მოახდენს პუბლიკაციის ქცევაზე.

დოკუმენტებში თავმოყრილი ინფორმაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მეტააღწერილობის ენა, ე.ი. XML და დერივატები. დოკუმენტების სტრუქტურირება მიიღწევა დოკუმენტის ტიპის განსაზღვრით (დტგ). დოკუმენტის შედგენისას მისი ათვისება გარკვეულწილად ავტომატურად მოხდება. პოვნა – იგივე ძიება – ასევე სტრუქტურირების დონეზე იქნება შესაძლებელი. უმშტეტერმა ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ ადრე განჭვრიტა და უკვე მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან მოაწყობა არაერთი სასწავლო ღონისძიება ამასთან დაკავშირებით. გერმანიის კვლევითი გაერთიანების დავალება – "SGML-ში დოკუმენტის ტიპის განსაზღვრით დისერტაციების მოპოვება, შენახვა, მიწოდება და არქივის შექმნა" უმშტეტერის თანამონაწილეობით შესრულდა. აქედან წარმოიშვა წარმატებული და პერსპექტიული პროექტი "ონლაინ დისერტაციები." (14).

ელექტრონული პუბლიკაციების დასამუშავებლად მეტადატების შემოღებამ გაამართლა. დამუშავების შინაარსობრივ და ფორმალურ მხარეებზე დაყოფა, რაც ბეჭდვითი პუბლიკაციების შემთხვევაში ჯერაც მიღებული პრაქტიკაა, მოძველებულია. ეს გაყოფა მომხმარებლისათვის მუდამ გაუგებარი იყო.

თუ დოკუმენტი დტგ-ის შესაბამისად არის სტრუქტურირებული, ადვილდება სასურველი ინფორმაციის უზუსტესად მოპოვება, მაგ., ცხრილის, წიგნის ერთი რომელიმე თავის და ა.შ. მთლიანი სტატია უკვე საჭირო აღარ არის. ადრე ამისათვის ნაწილობრივ აუცილებელი იყო ძირფესვიანი და მონაცემთა ბანკში მომხმარებლისათვის ძნელად ხელმისაწვდომი ძიების განხორციელება შესაბამისი სრული ტექსტის შეკვეთით. თუ დოკუმენტები XML/SGML-ში არსებობს, მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს გაცემის ფორმატი. სულაც არ არის აუცილებელი ეს მუდამ Word-ის ან PDF-დოკუმენტი იყოს. ამრიგად, მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს არჩევანი

WWW-ში ან მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილ სხვადასხვა ფორმატს შორის ან მიიღოს გადანყვეტილება პირველად დაბეჭდილი ციფრული ვერსიის სასარგებლოდ.

დოკუმენტების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის XML/SGML-ში მოცემული. ამ არასტრუქტურირებული ან სუსტად სტრუქტურირებული დოკუმენტებისათვის მოხდება საძიებო სისტემის შემოღება, როგორცაა ელსევიერის Scirus (18) – ანუ ვრცელი "სათამაშო მინდორი" არა მხოლოდ ბიბლიოთეკებისათვის.

პირველადი მონაცემების ხელმისაწვდომობა

ყოველივე ამასთან პირდაპირ კავშირშია პირველადი მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხი. მსგავსი მოთხოვნა ჯერ კიდევ 1998 წელს წამოაყენა გერმანიის კვლევითმა გაერთიანებამ (14). "მეცნიერებაში თვითკონტროლის" კომისიამ მრავალჯერ განხილული სამეცნიერო შეცდომის შემდეგ გაავრცელა "წინადადებები კარგი სამეცნიერო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის". გერმანიის კვლევითი გაერთიანების მაშინდელი განზრახვა, ემოქმედა სამეცნიერო წრეებში უპატიოსნობის წინააღმდეგ, ციფრული პუბლიკაციის კონტექსტში განიხილება, როგორც ინსტიტუციონალური რეპოზიტორიების არსებითი და ძალიან საინტერესო გამდიდრება. მეცნიერებისათვის ამით შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ მათ შეძლონ არა მარტო სამეცნიერო კვლევებში შედეგების მიღწევა, არამედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, აწარმოონ ახალი კვლევები და მიიღონ ახალი შედეგები. ამას საერთო ჯამში შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს სამეცნიერო მუშაობისათვის. ქსელური ბაზის მქონე ამ სამეცნიერო მუშაობას სხვაგვარად "e-Science" ჰქვია და განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ინტენსიური მონაცემების სამეცნიერო დარგებში, ე.წ. Big Sciences-ში. ეს საინტერესოა, ცოდნის ყველა სხვა სფეროსთვისაც, განსა-

კუთრებით კი ინფორმაციის მენეჯმენტის პროცესისათვის. აქაც, როგორც ჩანს, მეტადატების მინიჭება მნიშვნელოვანი კრიტერიუმია (იხ. ზემოთ). შესაძლებელია ინსტიტუციონალური რეპოზიტორიების აგება მოხდეს სულ უფრო და უფრო მეტად დაყოფილ საინფორმაციო სისტემებად, მონაცემები კი ხელმისაწვდომი გახდეს მეტადატების შეგროვების ღია არქივის პროტოკოლისათვის (Open Archives Protocol for Metadata Harvesting (OAI-PMH). იმისათვის, რომ ნამდვილად იქნეს უზრუნველყოფილი ქსელზე ბაზირებული სამუშაოების ჩატარება, მონაცემები უნდა იყოს უფასოდ ხელმისაწვდომი. საბიბლიოთეკო ძალისხმევა ამიერიდან ფოკუსირებულია არა დოკუმენტებზე, ობიექტზე, მედიასაშუალებაზე, არამედ პირველად მონაცემებსა და მათ ბაზაზე აღმოცენებულ ინფორმაციებზე.

მეტამონაცემების თუ რომელი სქემა უნდა იქნეს ან შეიძლება იქნეს გამოყენებული, ჯერ არ არის ნათელი. გაურკვეველია ბიბლიოთეკარების როლიც ამ პროცესში (17) და ამდენად, განსასაზღვრიც!

გარემო სამეცნიერო ინსპირაციისათვის. პირველადი მონაცემების, კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკების ფუნქციების მხოლოდ ნაწილია. დღეს ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე თითქმის ყოველთვის დოკუმენტის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეხება. კარლ ლეგოზმა, ჩემი აზრით, სრულიად ჭეშმარიტად დაასკვნა: "ბიბლიოთეკების პირველადი მიზანი, როგორც, მაგალითად, დიდი მოცულობის მქონე რესურსების (a.k.a. Google) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, ხშირად არასწორად იყო განმარტებული. ბიბლიოთეკის რეალური შესაძლებლობა მდგომარეობს ცოდნის გარემოს შექმნაში, სადაც ხდება ხალხის ორგანიზება ინფორმაციის გარშემო, ახალი ინფორმაციის შემოტანა და ერთმანეთისაგან სწავლა". (16)

მაშასადამე, მედიებისა და აქ თავმოყრილი ინფორმაციების, აგრეთვე პირვე-

ლადი მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან ერთად, ბიბლიოთეკებმა უნდა შექმნან გარემო, სადაც მეცნიერები მიიღებენ ინფორმაციას, იპოვნიან შთაგონებას და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეძლებენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

უმბერტო ეკომ ჯერ კიდევ 1987 წელს გააკეთა შემდეგი მინიშნება: "ერთ-ერთი გაუგებრობა, რომელიც ბიბლიოთეკის ზოგად ცნებასთან დაკავშირებით არსებობს, არის შეხედულება იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკაში ადამიანი კონკრეტული წიგნის მოსაძებნად მიდის, რომლის სათაურიც მან იცის.... ბიბლიოთეკის უმთავრესი ფუნქცია... არის მოგვცეს იმ წიგნების აღმოჩენის შესაძლებლობა, რომელთა არსებობასაც სულ ვერ წარმოვიდგენდით, ჩვენთვის კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ხოლმე." (2)

როგორ შეძლებენ ბიბლიოთეკები შექმნან ამგვარი გარემო? როგორც ვნახეთ, ინტერნეტში ეკრანი "ციფრული მომსახურების გადართვის ცენტრად" (7) გვევლინება და ინფორმაციის, ქსელში თავმოყრილი მასალების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე კომუნიკაციის გასაღებს წარმოადგენს. ამ ახალი ტექნიკისა და მომსახურების დახასიათება ხშირად ხდება განმაზოგადებელი ტერმინით Web 2.0. ბიბლიოთეკა, როგორც სერვისი, ამდენად უკანა პლანზე ინაცვლებს. ნათელია, რომ ციფრულმა პუბლიკაციებმა შეცვალა მეცნიერების მუშაობის სტილი და ბიბლიოთეკების ამოცანები.

მეცნიერები უკვე იყენებენ კომუნიკაციის ახალ, ელექტრონულად მხარდაჭერილ ფორმებს. Blogs და Wikis-ი, მარტივად, ძალიან მარტივად მომსახურე საკომუნიკაციო ან საპუბლიკაციო სისტემები, მსოფლიოში ცნობილი მაღალი ტექნოლოგიების სისტემებად იწოდებიან. ბიბლიოთეკის ამოცანა არ შეიძლება იყოს ის, რომ ხელმისაწვდომი გახადოს ამგვარი ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ეს მეცნიერების და მისი "გადართვის ცენტრის" (იხ. ზემოთ)

გასაკეთებელია. მაგრამ ბიბლიოთეკებს ნამდვილად შეუძლიათ ამ ფორმების ინტეგრირება მისი მუშაობის პროცესში. სცენარები მრავალფეროვანია: საბიბლიოთეკო სამუშაოსათვის Blogs-იდან დაწყებული (მაგ., ელექტრონული ბიბლიოთეკები Bloglines-ში (11) ინფორმაციითა და ახალი გამოცემების სიით დამთავრებული და სხვა.

აზრი, რომ ბიბლიოთეკები კომუნიკაციისა და კულტურის ადგილია, რისი მოთხოვნაც მუდამ არსებობდა, ძველი პარადიგმის, ორგანიზაციის ცენტრალიზაციის, პროგრესული გადაწერაა. ამის საპირისპიროდ, ბიბლიოთეკები აკეთებენ რა ძირითად აქცენტს მომხმარებელზე, მათი მუშაობის სტილზე, მათ პრეტენზიებზე, რჩებიან მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების პარტნიორებად.

თუ რომელ სერვისებზე შეიძლება იყოს საუბარი, უკვე ნათლად ვაჩვენეთ. საინტერესო თემად რჩება იმაზე დაკვირვება, თუ როგორ გაართმევენ მომავალში ბიბლიოთეკები თავს პარადიგმის ცვლილებას.

ლიტერატურა:

1. Buttner, St. (2005): Elektronische Publikationen und ihre Implikationen auf das Bibliothekswesen. In: Bibliothekswissenschaft – quo vadis? Eine Disziplin zwischen Traditionen und Visionen: Programme–Modelle–Forschungsaufgaben. Munchen: Saur Verlag, S. 103-114.
2. Eco, U. (1987): Die Bibliothek. Munchen: Hanser Verlag.
3. Ewert, G. und Umstatter, W. (1997): Lehrbuch der Bibliotheksverwaltung. Stuttgart: Hiersemann Verlag.
4. Kohl, D. F. (2002): Transforming the Academic Library Organization for Service in a Budget Constrained, Digital World. Bibliothek, 26, 2, 136-146.
5. Kuhn, Thomas Samuel (1989): Die Struktur der wissenschaftlichen Revolutionen / aus dem American. Von Kurt Simon. 2, rev. und um das Postkriptum von 1969

erganzte Aufl.; 10. Aufl. Frankfurt am Main: Suhrkamp.

6. Stiftung Lesen (2001): Lesenverhalten in Deutschland im neuen Jahrtausend: eint Studie der Stiftung Lesen. Mainz: Stiftung Lesen [u.a.].

7. Lossau, N. (2005): Der Nutzer soll Konig warden. Digitale Dienst – leistungen in wissenschaftlichen Bibliotheken: Dad Internet setzt Ma\$stabe. BuB, 57, 5, 365-376.

8. McLuhan, Marshall (1962): The Gutenberg galaxy: The making of typographic man. London: Routledge & Paul.

9. Mittler, E. (1996): Die Bibliothek der Zukunft, Überkegungen aus Anlass der Planungen zu einem informations- und Kommuni-kationszentrum in Adlershof (Berlin). Bibliothek, 20, 2, 259-261.

10. Umstatter, W. (2006): Alle Bucher ins Netz. Ein Pladoyer fur die Digitalisierung der Bibliotheksbestande. Tagesspiegel, 06.04.2006, Meinungen.

ინტერნეტწყაროები:

11. Bioglines. Netbibs. URL: <http://www.Bioglines.com/public/netbib>

12. Deutsche Bibli-kationsstrategien im Wandel. Ergebnisse einer Umfrage zum Publikations und Rezeptionsverhalten unter besonderer Berucksichtigung von Open Access. URL: <http://www.dfg.de/dfg – im – profil/zahlen – und – fakten/statistisches – berichtswesen/open – acces s/index. html>

13. DFG: Publikationsstrategien im Wandel. Ergebnisse einer Umfrage zum Publikations

– und Rezeptionsverhalten unter besonderer Berucksichtigung von Open Access. URL: <http://www.dfg.de/dfg-im-profil/zahlen-und-fakten/statistisches-berichtswesen/open-access/index.html>.

14. DFG: Projekt "Dissertationen Online". URL:<http://www.Dissonline.de>

Gore, Al (1994): Remarks prepared for delivery. International Tele communications Union. Buenos Aires. URL:

<http://www.eff.org/Infrastructure/Govt – docs/gii – gore – buenos – aires.speeh>

15. Lagoze, C. (2005): "National Science Digital Library: Building a Knowledge Base for Science, Math, and Engineering Education", Building the info Grid, 2005 Copenhagen, Denmark. URL:


<http://scilib. Typaped. Com/science-library-pad/2005/info.grid-2005-4.html> Com/science – library – pad/2005/09/info – grid – 2005 – 4.html

16. Lyon L. (2006): Digital Libraries and e-Research: new horizons, new challenges? In: 8th International Bielefeld Conference 2006. URL: <http://conference.ub.uni-bielefeld. de>

17. Vogtlander, A. (2006): Finding Scholarly Content in the Age of Web Search. In: 8th Intetnational Bielefeld Conference 2006. URL:<http://conference.ub.uni-bielefeld.de>

18. Zentral- und Landesbibliothek Berlin, jahresberichte. URL: <http://www.zlb.de/genetaldirektion/jahresberichte>

გერმანულიდან თარგმნა თამარ ნაცვლიშვილმა
საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბლ. წამყვანი
სპეციალისტი.





სამან ნერსისოვა

თბილისის 104-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი

მკითხველთა უსწავლა მკითხველთა ფორმაციის ეაზიოზიტი



სასკოლო ბიბლიოთეკა მონოდებულია დაეხმაროს მოსწავლეებს სასწავლო-აღმზრდელობითი დონის ამალგებებში, ხელს უწყობს მათ სასკოლო პროგრამის საფუძვლიანად შესწავლაში; მოსწავლეთა სწორად აღზრდა მათ სწორი მსოფლმხედველობის შემუშავებას განაპირობებს. აი, ასეთი ამოცანა აკისრია დღეს ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკებს.

ეს რომ განვახორციელოთ, საჭიროა გონივრულად წარვმართოთ ბავშვების კითხვის პროცესი. დიახ, კითხვაში მათ უეჭველად ესაჭიროება მართვა და ხელმძღვანელობა, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, რომ ეს საქმე იყოს სასარგებლო, ხარისხიანი და ეფექტური?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიოთეკარს საქმე აქვს წიგნთან და მომხმარებელთან, ის ხელს უწყობს მათი ურთიერთობის მონესრიგებულად წარმართვას. ამ მიზნით, ის ეწევა წიგნის პროპაგანდას, მის რეკომენდაციას, მკითხველის დაინტერესებას. ამგვარად, საქმე გვაქვს ორი მხარის ურთიერთკავშირთან.

ერთი – ეს არის წიგნის გზა მკითხველისაკენ;

მეორე – მკითხველის გზა წიგნისაკენ.

აქედან გამომდინარე, თუ გვინდა სწორად წარვმართოთ კითხვის ხელმძღვანელობა, საჭიროა კარგად ვიცნობდეთ როგორც წიგნს, ისე – მკითხველს. ეს უკვე მოითხოვს, ერთი მხრივ, შვეისწავლოთ წიგნი, მეორე მხრივ – სისტემატურად ვანარმოოთ მკითხველის შესწავლა.

მკითხველთა შესწავლის მრავალი ფორმა და მეთოდი არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მკითხველთა ფორმულარის ანალიზი. როგორც ვიცით, მკითხველის ფორმულარმა ბევრ კითხვას შეიძლება გასცეს პასუხი. კერძოდ, გაარკვიოს მკითხველის პიროვნული მონაცემები, მისი მოთხოვნები, ინტერესები, კითხვის ინტენსიობა, მოცულობა და ა.შ.

მკითხველის ფორმულარს აქვს პასუხები როგორც ოფიციალურ მონაცემებზე, ისე არაოფიციალურზეც, როცა ბიბლიოთეკარი "შენიშვნებში" ინერს დაკვირვებებს ამა თუ იმ მკითხველის შესახებ – რა ენებზე კითხულობს, კიდევ სხვა ბიბლი-

ოთეკით თუ სარგებლობს, აქვს თუ არა საოჯახო ბიბლიოთეკა, რა ხასიათის წიგნები ქირდება, რას ელოდება ბიბლიოთეკისაგან და სხვა., ერთგვარად, რაც დამატებითი შეკითხვებით გამოვლინდება უშუალოდ მომხმარებლის ბიბლიოთეკაში ჩანერის დროს თუ მოსწავლეთან ბიბლიოთეკარის კონტაქტებისას ჩვეულებრივი მომსახურების პირობებში.

ეს სამუშაო არაა ერთჯერადი, არც ერთი თვისა თუ წლისა. ის წლობით მიმდინარეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი მუშაობა სკოლაში, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლის დაწყებიდან სკოლის დამთავრებამდე დადის. ამგვარად, შედარებით მოსახერხებელია თვალი გავადევნოთ მისი კითხვის განვითარების დინამიკას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, პიროვნების მკითხველური თავისებურებების შესასწავლად.

შესწავლა ფორმულარის მეშვეობით, ცხადია, უმთავრესად ინდივიდუალური მკითხველის კვლევის დროს ხდება, მაგრამ კოლექტივი ხომ ინდივიდებისაგან შედგება. ამიტომაც რომელიმე ჯგუფის თუ მთელი კონტინგენტის კონკრეტულად ყოველი მკითხველის შესწავლის შედეგად, შეიძლება განზოგადების მოხდენა და მთელ კოლექტივზე გარკვეული აზრის შექმნა. ამის გამო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მკითხველის ფორმულარის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ინდივიდის, ისე კოლექტივის შესწავლა.

ამგვარი საქმიანობა მეტად საინტერესო და სასარგებლოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ბიბლიოთეკა როდი მიმართავს მას.

ჩემს პრაქტიკაში მე ორთავე ფორმას თანაბრად მივმართავ.

როგორც ცნობილია, ყველა ბიბლიოთეკარი იყენებს მკითხველთან საუბრის მეთოდს, უმეტესად წიგნის გაცემა-მიღების დროს, რომ არაფერი ვთქვათ, ჩანერის დროს გამართულ პირველ საუბარზე. მე ჩანანერებს მხოლოდ და მხოლოდ საუბრის შედეგად ვანარმოებ და ჩემი ხელით ვავსებ ფორმულარს, და ეს ხდება გადაუდებლად და რეგულარულად.

იზრდებიან ბავშვები და იზრდება მათი ფორმულარის მოცულობა, ემატება და ემატება ახალ-ახალი ჩანაწერები. ასე ამგვარად, მოსწავლის ბიბლიოთეკაში პირველი და ყოველი შემდგომი მოსვლისას უკვე ვიცი, რას წარმოადგენს ჩემი მკითხველი. ეს საშუალებას მაძლევს, წინასწარ ვიცოდე, რაზე და როგორ ვესაუბრო ჩემთან მოსულ მოსწავლეს, განვჭვრიტო მისი მოთხოვნები. ამავე დროს თვალყურს ვადევნებ ჩვენი მოზარდების გარდაქმნას, მათი განვითარების საფეხურებს. ესეც მაძლევს საშუალებას, გავითვალისწინო მათი ინტერესები დროისა და სიტუაციების შესაბამისად. ამის გამო მე ძალიან კარგი წარმოდგენა მაქვს ჩემი მკითხველების მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე.

მკითხველთა ფორმულარებს არ ვაუქმებ, ვინახავ მეორე კლასიდან მეთერთმეტემდე. საბოლოოდ მათ საზეიმო ვითარებაში გადავცემ ხოლმე სკოლა-დამთავრებულებს. როგორც ცნობილია, ძირითადი ნაწილის შევსებას ყველა ერთგვაროდ ახდენს და აქ რაიმე განსხვავებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო რაც შეეხება დამატებით ნაწილს, რომელსაც ბიბლიოთეკარი თავისი შეხედულებისამებრ ავსებს, ცხადია, სხვადასხვაგვარად და ყველა ბიბლიოთეკარს ამ შემთხვევაში თავისი მიდგომის ფორმა და სტილი აქვს. მე ჩემი შეხედულების მიხედვით ვაკეთებ ჩანაწერებს, რომლებიც მე ძალიან მესმარება კითხვის მართვის საქმეში. შემიძლია მოვიყვანო ფაქტები ჩემი გამოცდილებიდან:

მაგალითად, ერთ-ერთი მეხუთეკლასელის ფორმულარში შეიძლება ამოვიკითხოთ: "აკურატული, მორიდებული, ხშირად სარგებლობს ბიბლიოთეკით; დარბაზში კითხულობს უმეტესად საბავშვო ჟურნალებს. კითხვის კარგი ტექნიკა აქვს. არის წიგნის რესტავრაციის წრის წევრი. ამ წლიდან მოუხშირა სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვას. წლის განმავლობაში კითხულობს დაახლოებით 30 წიგნს".

მეექვსეკლასელი მოსწავლის ფორმულარში არის შემდეგი ჩანაწერი: "აქვს ორგანიზაციული ნიჭი, ბიბლიოთეკის ღონისძიებებში ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, ხატავს კარგად, წლის ბოლოს გაიმართა მისი ნახატების გამოფენა. ნაიკითხა წლის განმავლობაში 30 წიგნი".

ასე და ამგვარად, პატარა მკითხველი წლიდან წლამდე იზრდება, და იზრდება მისი გამოცდილება, ნაკითხული წიგნების რაოდენობა, კითხვის ტექნიკა, და, რა თქმა უნდა, მისი ფორმულარიც.

შეიძლება იკითხოთ: რისთვისაა ყოველივე ეს, ვის ჭირდება?

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე მოგახსენებთ, ეს ხელს მინცობს წიგნის რეკომენდი-

რებაში და ამავე დროს კითხვის მართვასა და ორგანიზაციაში, მომხმარებლის მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში, რაც ბიბლიოთეკარის უმთავრესი ამოცანაა.

იქ სადაც არ ხდება ან სადაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მკითხველთა შესწავლას ფორმულარის მიხედვით, იქ წარმატებებიც ნაკლებია.

მე, როგორც წესი, ამა თუ იმ ინდივიდუალური მკითხველების შესწავლიდან გარკვეული აზრი გამომაქვს ამა თუ იმ კლასის მკითხველურ მიღწევებზე, ვაკეთებ ანალიზს და შემდეგ შედეგებს კლასების შეკრებებზე ვიხილავთ.

მაქვს აგრეთვე ბიბლიოთეკარის დღიური, რომლისმიხედვითაც ვახდენ მკითხველთა კოლექტიურ შესწავლას. არ უნდა აგვერიოს ის ბიბლიოთეკის დღიურთან, სადაც ჩვენ აღრიცხვას ვანარმოებთ და რომელიც აგრეთვე გამოიყენება მკითხველთა კოლექტიურად შესწავლისათვის. ეს არის პირადად ჩემი ინიციატივის ნაყოფი. ყველა ბიბლიოთეკარს აქვს უფლება, არსებული ტექნიკის მინიმუმით გათვალისწინებული ფორმების გარდა, დამატებით გამოიყენოს ისეთი ჩანაწერები, რომლებიც მას ხელს შეუწყობს უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს მკითხველები და გამოიყენოს ეს ბიბლიოთეკაში კითხვის პროცესის ორგანიზაციისათვის. დღიურის გარდა, დასაშვებია მკითხველთა ფორმულარებსაც ჩაუმატოთ თავისუფალი ფურცლები ცალკეული ჩანაწერებისათვის, როდესაც არსებული დოკუმენტაციის მოცულობა საკმარისი არ არის სრულყოფილი შენიშვნებისათვის.

1975/76 სასწავლო წლიდან შემოვიღე ე.წ. ხანგრძლივი დაკვირვების მეთოდით მუშაობა: ვირჩევ 15 მოსწავლის გვარს, რომელიც შემაქვს საუკეთესო მკითხველთა სიაში, 15-ს კიდევ საშუალო მკითხველებს შორის ვათავსებ და მთელი 5 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად ვადევნებ მათ თვალყურს და შევისწავლი.

უამრავი მასალა დამიგროვდა, რომელიც საშუალებას მაძლევს, ერთი მხრივ, კარგად გავეცნო ჩემს მკითხველებს დინამიკაში, მეორე მხრივ, ამ მკითხველებს გავაცნო მათი ჩვენთან მუშაობის შედეგები, ხელი შევუწყო მათში წიგნიერებისადმი მიდრეკილებას, განვანყო ისინი, რათა განაგრძონ და განავითარონ თავიანთი მიღწევები წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის თვალსაზრისით.

მე ვთავაზობ კოლეგებს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან, მოზრძანდნენ და გავეცნონ ამ მიმართულებით ჩვენს გამოცდილებას, იქნებ ეს საინტერესო გამოდგეს მათთვის და მეც მათგან შეიძლება ბევრი რამ გავიგო.

მოთაპის გათვალისწინებით

დიდი ილიას დაბადების 170 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილიას კაბინეტმა ერთობლივად ნამდვილი მამულიშვილური საქმე გააკეთეს – გამოსცეს ილია ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიის II ტომი, რომელიც გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა შემდეგი შემადგენლობით: გორგაძე ილია, მიქაბერიძე მაია, ლომჯარია თინა, ბარნაბიშვილი ნანა (ილია ჭავჭავაძე: ბიბლიოგრაფია; II; 1907-2007. – თბ.: "ილიას ფონდი", 2007. – 1317 გვ.) შექმნილი იყო სარედაქციო კოლეგია – ბედუკაძე ანდრო, გორგაძე ილია, მინაშვილი ლადო (რედაქტორი), მიქაბერიძე მაია. წიგნმა რეცენზირება გაიარა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და დაიბეჭდა მცხეთის მუნიციპალიტეტისა და მცხეთათიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით.

როგორც ცნობილია, მხოლოდ 1966 წელს გახდა შესაძლებელი პირველად გამომცემული იყო ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, რომლის ავტორები იყვნენ თინა ნაკაშიძე და ნინო კორძაია. მაშინვე იქნა ნავარაუდები, რომ ეს იყო ამგვარი შრომის პირველი ტომი, რომელიც მოიცავდა პერიოდს ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან (1857) მისი მკვლელობის წლის ჩათვლით (1907). რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი

მოვლენა როგორც ბიბლიოგრაფიული, ისე მეცნიერული თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ იმ ხანად ბიბლიოგრაფიული წყაროები ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა საჭირო მასალის თავმოყრისათვის.

მას შემდეგ ბევრი რამ დაინერა ილიაზე, მის შემოქმედებასა და გამოცემებზე, მაგრამ ყოველივე ეს იყო ეპიზოდური, დაქსაქსული, სიახლისაგან შორს მდგომი სარეკომენდაციო სიები, აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიის – "მატიანეებში" – მოცემული აღნუსხვა, რაც ვერ გადანყვეტდა ილიაზე მასალის თავმოყრისა და სრული ძიების ამოცანებს.

ფაქტობრივად, მთელი საუკუნის მასალა რჩებოდა თავმოყრელი და დაუმუშავებელი. რამდენმა საიუბილეო თარიღმა ჩაიარა მას შემდეგ, რამდენი რამ დაიბეჭდა ილიასი, რამდენი რამ გამოიცა მასზე. და სწორედ ყოველივე ამის თავმოყრისა და სისტემატიზაციის ამოცანები დაისახა მიზნად ავტორთა კოლექტივმა, რომელმაც განიზრახა გამოეცა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიის მეორე ტომი.

ეს არის დიდი, კაპიტალური ნაშრომი, რომელიც განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევს თვით მისი გამოცემის ფაქტით, კონსტრუირებულია ჩვეულებრივი კლასიკური ბიბლიოგრაფიული ნაწარმოების ტრადიციული ფორმით – ძირითადი ნაწილი მოიცავს ილიას ნაშრომებს, რომელსაც ერთვის სხვადასხვა დანიშნულების საძიებლები. მასალა საკვებით მიზანშეწონილად

დიფერენცირებული: ილია ჭავჭავაძის ნაწერები, დამატება – ნაწერები, რომლებიც არ შესულა პირველ ტომში, ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შესახებ, საძიებლები: სახელთა, მხატვრულ ნაწარმოებთა, პუბლიცისტური სტატიების, – გამოსვლების – გამონათქვამების – წერილების, მიმონერის, სიტყვების, სხვადასხვა ავტორთა მიერ ამოკრეფილი შეხედულებების, უცნობი წერილების, თარგმნილი ლიტერატურის, ილია ჭავჭავაძის მთარგმნელებისა.

დოკუმენტთა აღწერილობები ძირითადად მიღებული სტანდარტითაა შესრულებული, თუმცა მხედველობაშია მიღებული ტრადიციული ნორმები, რაც სავსებით სწორად მიგვაჩნია. სწორადაა გადანყვეტილი აგრეთვე დემიფრაციისა და ანოტაციის საკითხი. უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, ისინი შესრულებულია მაღალკვალიფიციურად, იმის მიხედვით, თუ რამდენად რთულ მასალასთან გვაქვს საქმე, ანოტაციაც შედარებით სრული და ვრცელია.

აღწერილობის სისტემასთან პრეტენზიები არა გვაქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ზოგი რამ შეიძლებოდა გათვალისწინებულიყო. მაგალითად, მიგველო საკატალოგო აღწერილობის ზოგი ახალი სტანდარტი. კერძოდ, ანალიტიკური აღწერილობის შემთხვევაში სიტყვები "ნიგნ.", "გაზ.", "ჟურნ." შეგვეცვალა მიღებული სიმბოლოთი – ორი დახრილი ხაზი (//), მით უმეტეს, რომ გამოცემაზე პასუხისმგებელ პირთა თუ დაწესებულებათა წინ გამოიყენება სტანდარტული სიმბოლო – ერთი დახრილი ხაზი (/). ის, რომ კრებულების მასალის აღწერილობისას წინმსწრებ სიტყვად გამოიყენება "შინაარსი", "მოთხრობა", "ლექსები" – სავსებით მისაღებია. სტრუქტურული თვალსაზრისით, მეორე ტომში პირველი ტომის პრინციპების გათვალისწინება რომ მოხდა, ისიც გასაგებია მაგრამ მას მერე 4 ათეული

წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა და ძალაუზნებურად გარკვეული კორექტივების შეტანა არაა გამორიცხული.

ნაშრომის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ყველაფერი მეთოდურად სწორად არის გააზრებული, ყველაფერი ნათელია და რაიმე გაუგებრობას არ იწვევს. ეს უდავოდ დიდი დამსახურებაა შემდგენლებისა, რომლებიც ღირსეული პროფესიონალები არიან. მეტად კვალიფიციურადაა შესრულებული საძიებლები. ერთგვარ შენიშვნას იწვევს ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, "ილია ჭავჭავაძის მიმონერა". საძიებელი განლაგებულია ანბანურად, მაგრამ არა გვარების, არამედ სახელების მიხედვით, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს, გვხვდება სრულიად უმნიშვნელო ანბანური განლაგების ცდომილებაც.

თუ მთლიანობაში ვიმსჯელებთ ამნიგნის შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს პერსონალური ბიბლიოგრაფიისა. არის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მით უმეტეს, რომ 90-იან წლებში უაღრესად გართულდა გამოქვეყნებული მასალის რეგისტრაცია, აღწუსხვა და თავმოყრა. უამრავი პერიოდული თუ არაპერიოდული ორგანო გამოდიოდა, რომელთა მასალა სრულადაც არ აღინუსხებოდა. მისი გამოვლენა და სისტემაში მოყვანა მომავლისათვის ძალიან გართულდება. ამდენად, გამორიცხული არ არის, ერთი დიდი ნაწილი შრომებისა ვერ მოხვედრილიყო ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ილიას შესახებ ბიბლიოგრაფიული მასალა თითქმის სრულადაა შეკრებილი. ამ შემთხვევაში ვიზიარებთ ნიგნის რედაქტორის მოსაზრებას, რომელიც ეთანხმება ილიას – "მთავარია არსებობდეს ასეთი ნიგნი და შემდეგ მისი უფრო სრულქმნის სურვილიც გაჩნდება".

ბიბლიოგრაფიაში შესულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებული შესაბამისი ლიტერატურა, თუმცა, ავტორების

უფრო გაფართოვდება საქმიანობა და ელექტრონული ინფორმაცია სულ უფრო მეტ და მეტ ადგილს დაიჭერს. ბოლოს, დიდი იმედით გვინდა შევეგებოთ

<p>საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ილიას კაბინეტი</p> <p>„ილიას ფონდი“ 2007</p>	<p>გორგაძე ილია, მიქაბერიძე მაია, ლომჯარია თინა, ბარნაბიშვილი ნანა</p> <p>ილია ჭავჭავაძე ბიობიბლიოგრაფია II 1907-2007</p> <p>თბილისი 2007</p>
--	--

თქმით, "უცხოეთში გამოცემული მასალის მეტი სისრულით თავმოყრა და ბიბლიოგრაფიაში შეტანა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება გარკვეული ობიექტური მიზეზების გამოც". გასახარია, რომ მასში პირველად არის შეტანილი იმ ელექტრონული ინფორმაციის მისამართები, რაც ინტერნეტში არის ილიაზე გამოქვეყნებული. იმედს გამოვთქვამთ, ამ მიმართულებით კიდევ

რედაქტორის სიტყვებს: "ნიგნის შემდგენლები ილიას ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობას დასრულებულად არ თვლიან... ბიობიბლიოგრაფიამ გარკვეულწილად უნდა გააადვილოს განზრახული მონუმენტური ნაშრომის – ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედიის – შექმნა".

ალექსანდრე ლორია

ართი კაცის მთავარი სიტყვა - ომრი

"ომრი" – სიცოცხლე. ერთი კაცის ცხოვრება. ადამიანის სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა, წუთისოფელი, ღვანლი, ამაგი..." – ამ ლექსიკონური განმარტებით იწყება ეს ნიგნი – ფრიდონ ხალვაში. ომრი. – თბ.: "ეროვნული მწერლობა", 2007. – 404 გვ.

ფრიდონ ხალვაშმა 8 ათეულს გადააცილა, მაგრამ მარტო წლების სიმრავლე როდია მთავარი, საქმე იმაშია, რომ ამ ადამიანს უსაზღვროდ მღელვარე, საინტერესო, სისხლსავსე, შინაარსიანი, ზღვასა და ხმელეთზე მოდებული გზებით უვლია, ათასი რამ უნახავს და გაუგია ჩვენში თუ უცხოეთში, არაერთხელ ყოფილა მუზასთან ნილნაყარი და, რაც მთავარია, ცხოვრების მანძილზე იმდენი რამ უნახავს, გამოუვლია და მახვილი თვალით აუნონდაუნონია, რომ მისი ნაამბობი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების საინტერესოდ მონოდება, უჩვეულო თავგადასავლები, ძვირფას ადამიანებთან შეხვედრა, აქ ნახავთ ჩაფიქრებას, წუხილს, აზრების ჭიდილს, მოვლენების შეფასებას, შეგონებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამდენად, საფუძველს მოკლებულია ავტორის დაეჭვება: "ძვირფასო, რაც გავიხსენე, დიდ საქმისათვის თუ ვერა, პატარა ფიქრისათვის მაინც გამოგადება".

ნაწარმოები არ შედგება უბრალო ტრადიციული მოგონებებისაგან. აქ ერთმანეთს

ცვლის ნარსულზე ჩვეულებრივი თხრობა მოკლე დღიურის ჩანაწერებს, გვხვდება პოეტური სტროფები, ფიქრები წასულ ადამიანებზე, გახსენება და მოგონება. ბევრი რამ შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო. ემოციური თვალსაზრისით თხრობა ზედმინევენით დატვირთულია, ლალი და მსუბუქი, სახალხო თხრობის მანერითაა შესრულებული, რაც მეტად მიმზიდველ შთაბეჭდილებას ახდენს. განსაკუთრებით მომხიბვლელია ლაკონური და დამაფიქრებელი სათაურები, რომლებითაც გამოყოფილია მთელი ტექსტი. ეს კიდევ უფრო სხარტსა და გატაცებით საკითხავს ხდის ამ ნიგნს.

ავტორის პოეტური ექსტაზი ყველგან ავლენს თავს. იგი ხომ მთელი ბუნებით, სულით და ხორციით პოეტია, მისთვის ქართული მწერლობა დედულ-მამულეთია, მის გარეშე მას ცხოვრება არ შეუძლია, ესაა მისი მონოდება, საქმე, სულიერი საზრდო. დაუფარავად, ყოვლად გათამაშებული თავდაბლობის გარეშე აცხადებს იგი: "უჩემობა მწერლობას ჩვენსას არც დაეტოყობოდა, უმისოდ კი მე ცოდვა ვიქნებოდი".

გადაჭრით შემოძლია ვთქვა, მკითხველები, რომლებიც "ომრს" გაეცნობიან, უდავოდ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებენ და ბევრ რამეს გაეცნობიან ახალსა და ჯერ შეუცნობელს.

ალექსანდრე ლორია



ავთოლოგიური სიასა

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა სალექციო კურსი – "ინფორმაციული წიგნიერება", რომელიც განკუთვნილია პირველკურსელებისათვის ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. აღნიშნულ უნივერსიტეტში ამ დისციპლინას ყველა სტუდენტი გადის, ვიდრე ის მისთვის სასურველ სპეციალობის შესწავლას შეუდგება. ფაქტობრივად, წიგნი წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც აცნობს სტუდენტს იმას, რაც უნდა იცოდეს იმისათვის, რომ წარმატებით იმუშაოს ბიბლიოთეკაში, შეძლოს ბიბლიოგრაფიისგამოყენება და შედგენა, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, წაკითხული მასალის მიხედვით მეორადი ნაშრომის შედგენა, ინფორმაციის ფიქსირება, დაცვა, შენახვა დაგამოყენება.

შემდგენელია ინგა ფილაური-ლორია, რომელიც ითვლება ამავე დროს კოორდინატორად სპეციალისტებისა, რომლებიც ამ დისციპლინაში მუშაობენ და რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს წიგნის შექმნაში. ესენი არიან: თ. ბჟალავა, გ. თაყნიაშვილი, მ. კალანდარიშვილი, ა. ლორია, მ. მიქაბერიძე, ნ. მჭედლიშვილი. საერთო რედაქტორია ალ. ლორია, რეცენზენტი ი. ლარიბაშვილი.


ნაშრომში განხილულია შემდეგი თემები: საბიბლიოთეკო სისტემა, წიგნის ისტორია, მსოფლიოსა და საქართველოს დიდი ბიბლიოთეკები, უცხოური ბიბლიო-

თეკები საქართველოში, ელექტრონული ბიბლიოთეკები, არქივი საინფორმაციო სივრცეში, საბიბლიოთეკო ფონდები, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია და საძიებო სისტემები, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, საბიბლიოთეკო მომსახურება, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და ინფორმაციული რესურსები ბიბლიოთეკაში, ბიბლიოგრაფია და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის მიღების პირობები და წინასწარი ანალიზი, მიღებული ინფორმაციის შერჩევა, დამუშავება, შენახვა, მასალის დამუშავების მეთოდოლოგია, საატვირთო უფლებების დაცვა ინფორმაციული მასალის გამოყენების დროს, ბიბლიოგრაფიული მითითებებისა და ბიბლიოგრაფიული სიების გაფორმება.

წიგნში მითითებულია, თურაპრაქტიკული სამუშაოები უნდა ჩაატაროს სტუდენტმა, ბოლოს მოცემულია ძირითადი ლიტერატურა.

წიგნი შედგება მაღალი ფორმატის 97 გვერდისაგან. იგი დიდ დახმარებას აღმოუჩენს არა მარტო პედაგოგებსა და სტუდენტებს, არამედ კურსების მსმენელებსა და დაინტერესებულ სპეციალისტებს.

*რუსუდან დანელია,
ეროვნული ბიბლიოთეკის
ელექტრონულ რესურსებით მომსახურების
განყოფილების უფროსი*



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზაინაზ ჟიჟილაშვილი
ნიკოლოზ აკერმანი - 100



სასწავლებელს და იმავე წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც 1930 წელს წარმატებით ამთავრებს (სამსახურიდან მოუწყვეტლად).

რა დიდი ბედნიერებაა, როდესაც ახალგაზრდა წრთობას იღებს ისეთ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გეგტმანი, ფილიპე გოგირაძე, ალექსანდრე ვაჩიშვილი, ბიძინა რამიშვილი და სხვანი. ეს ბედნიერება ნიკოლოზ აკერმანსაც ხვდა წილად.

ბიბლიოგრაფიას საქართველოში საკმაოდ დიდი და ძველი ისტორია აქვს. ამ დარგის განვითარებასთან ორგანულადაა დაკავშირებული ნიკოლოზ აკერმანის სახელი. ის ქართველ ბიბლიოგრაფთა საუკეთესო წარმომადგენელია. მან თავის კოლეგებთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო ქართული ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმეს. თითქმის 60 წელი ემსახურა ის ამ დარგს.

ნიკოლოზ აკერმანის ცხოვრება — ეს იყო შემოქმედებითი ძიებისა და დაუღალავი შრომის გზა. ნიკოლოზი ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, პედაგოგი — ასეთი სახელით შემორჩა ბიბლიოთეკის მრავალათასიან მკითხველთა მეხსიერებას.

ნიკოლოზ გიორგის ძე აკერმანი დაიბადა 1908 წელს ქ. ალექსანდროვსკში, მოსამსახურის ოჯახში, რომელიც 1915 წელს გადმოსახლდა ქ. თბილისში, სადაც ცხოვრობდა ნიკოლოზის ბებია ანა თავორის ასული აბაშიძე.

1925 წელს ნიკოლოზი ამთავრებს საშუალო

ნიკოლოზ აკერმანმა საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობა 1926 წლის 8 იანვარს დაიწყო პერიოდული ლიტერატურის დამუშავების განყოფილების ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე.

1931 წლიდან ის საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ბიბლიოგრაფად ინიშნება, ხოლო 1944 წელს ამავე განყოფილების მთავარ ბიბლიოგრაფად.

ბატონ ნიკოლოზს საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობა საბიბლიოთეკო საქმის ღირსეულ სპეციალისტებთან უხდებოდა, როგორც იყვნენ: ბორის რუდენკო (ცნობილი ლინგვისტი, ქართული ენის სპეციალისტი), ვლადიმერ ელსნერი, მწერალი სანდრო ეული-ქურიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ლევან ეგორაშვილი, მერი მელაძე, გიორგი გიორგიძე, ნიკო ჭელიძე, პავლე კანდელაკი და სხვა მრავალი.

ნიკოლოზ აკერმანი თბილად იგონებს ბიბლიოთეკაში გატარებულ პირველ წელს: "ამ დროს ბიბლიოთეკაში იყო 13 თანამშრო-

მელი, ხელმძღვანელი – შესანიშნავი ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, გეოგრაფ-ეკონომისტი, ბიბლიოფილი გიორგი გეხტმანი... ჩვენ გვექონდა ერთი ძალიან კარგი ტრადიცია: სამუშაო დღის დამთავრებისას, ჩვენ ყველანი ერთად გამოვდიოდით და ფეხით მივყვებოდით რუსთაველის გამზირს, გზად შევდიოდით ყოველი წიგნის მაღაზიაში და ბუკინისტებში, ჩვენ ვეცნობოდით როგორც ახალ ლიტერატურას, ასევე ძველ გამოცემებს".

მრავალფეროვანი და მრავალმხრივია მისი შემოქმედება. მას ეკუთვნის 100-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, 50-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული საძიებელი (მისი რედაქტორობით), როგორც პედაგოგი, სისტემატურად კითხულობდა ლექციებს ბიბლიოთეკების მუშაკთა კვალიფიკაციის კურსებზე, ეწეოდა კონსულტაციებს საბიბლიოთეკო საკითხებზე.


1934 წელს დაიბეჭდა მისი პირველი თარგმანი: ასათიანის ნარკვევი "თავმჯდომარე", "წელიწადი როდენთან" და სხვა მრავალი. კლასიკური და თანამედროვე მწერალთა პროზაული ნაწარმოებებიდან 80-ზე მეტი ნაწარმოები აქვს თარგმნილი და გამოქვეყნებული, მათ შორის აღსანიშნავია დავით ბაქრაძის "გმირთა სისხლით", გრ. ჩიქოვანის "მაია" და სხვა. მის მიერ თარგმნილია 1000-მდე ბნკარი ქართველი პოეტების ლექსებისა ქართული პოეზიის ანთოლოგიისა და სხვა კრებულებისათვის. იგი ავტორია 50-ზე მეტი პუბლიცისტური და კრიტიკული წერილისა.

ნიკოლოზ აკერმანმა მთელი ამ წლების მანძილზე დაიმკვიდრა მკითხველებისა და კოლეგების სიყვარული და პატი-

ვისცემა. უბრალო და თავაზიანი, გულისხმიერი მასწავლებელი და მეგობარი. უანგარო და კეთილსინდისიერი შრომისათვის არაერთი ჯილდო დაიმსახურა – 1957 წელს – კულტურის სამინისტროს სამკერდე ნიშანი "წარჩინებული მუშაობისათვის", 1961 წელს მიიღო "საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება", 1963 წელს – "რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება" და სხვა.

ნიკოლოზ აკერმანის დიდი დამსახურება, მისი ღვაწლი მადლიერმა მკითხველმა მისი 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შემდეგი სიტყვებით გამოხატა: "ჩემო კოლია, თქვენი მოღვაწეობის დროს იმხელა ყანა დათესე რომ ეს ერთი საღამო ჭირნახულის მოსაწევად როდის გეყოფა, შენი საქმიანობის ხვავსა და კალოს რა არწყავს, მაგრამ შენ ხომ ჯერჯერობით მკას არ ფიქრობ. მკის დრო შენი ხნის კაცისათვის კიდევ შორს არის, ამჟამად მხოლოდ მთესველი ხარ, ხელხვაჯიანი და კეთილი მთესველი".

ასე დაამახსოვრა ნ. აკერმანმა ყველას თავი, ვისაც კი თუნდაც ერთხელ უნახავს იგი.



სხდომა ნ. აკერმანის მოღვაწეობის 40-წლისთავთან დაკავშირებით

ზეინაზ ჟიჟილაშვილი

ზუია ბარუცაზა - 100

საბიბლიოთეკო საქმის ღვაწლმოსილ ადამიანთა შორის, რომელთა სახელები არასოდეს წაიშლება საქართველოს ბიბლიოთეკების ისტორიაში, არის გუია ქუთარის ასული ბერულავა. მას მიმდინარე წელს 100 წელი შეუსრულდებოდა.

გუია ბერულავა დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ კურზურში, აქვე მიიღო დანყებითი განათლება, ხოლო შემდეგ სწავლობდა ზუგდიდსა და ცხაკაიაში.

1922 წელს გუია ქ. თბილისში გადმოდის და 1923 წელს ამთავრებს მე-11 ჰუმანიტარულ ტექნიკუმს (ყოფილი ქალთა მეორე გიმნაზია). ამავე წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე ფსიქოლოგიის სპეციალობით.

1924 წლიდან, უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად, მუშაობას იწყებს სკოლისგარეშე განათლების სახლის ბიბლიოთეკაში – სამკითხველო დარბაზში. ოცდა ორი წლის ახალგაზრდა გუიას მუყაითი შრომა და საქმისადმი სიყვარული მხედველობიდან არ გამორჩენია ბიბლიოთეკის დირექტორს, ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეს ივანე ციციშვილს.

1925 წელს ბიბლიოთეკასთან ერთდინანი საბიბლიოთეკო კურსები გაიხსნა. ეს იყო პირველი კურსები, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მას ქ-ნ გუია წარმატებით ამთავრებს და უკვე სავსებით გამოკვეთილად ისწავლის საბიბლიოთეკო საქმეში ჩასაბმელად.

1936 წელს მას მივლინებით ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში აგზავნიან სტაჟირებაზე და საქმის გასაცნობად.

ამავე წელს გუია შეთავსებით ინიშნება მწერალთა კავშირის ლიტერატურის კაბინეტის ბიბლიოთეკარად, ხოლო შემდეგ ბიბლიოთეკის გამგედ. ამ თანამდებობაზე 1950 წლამდე დაჰყო.

1953 წელს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას შეუერთდა და მის ბაზაზე ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება შეიქმნა. სწორედ აქ მუშაობდა ქ-ნი გუია მეთოდისტის თანამდებობაზე სიცოცხლის ბოლომდე.

ორმოცი წლის მანძილზე თავისი დაუღალავი და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად გუიამ 55-ზე

მეტი შესანიშნავი შრომა შექმნა საბიბლიოთეკო მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე.

1925 წელს "ნიგნის მეგობარში" ქვეყნდება მისი სტატია "რა ვნახეთ დილომში". აღნიშნული სტატია ეხება სოფელ დილომში არსებულ ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ქ-ნი გუია მზად იყო სისტემატურად დახმარებოდა ბიბლიოთეკას. სწორედ ამას გულისხმობდა ის, როდესაც აცხადებდა სტატი-აში: "თუ საჭირო იქნება საქმით ან რჩევით დახმარება, მზად ვართ ხელახლა გავემგზავროთ".

1938 წელს ქ-ნ გუიას ავტორობით გამოიცა "სკოლისგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სია". შრომის ძირითადი მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს საბავშვო ბიბლიოთეკებს ნიგნობრივი ფონდების დაკომპლექტებასა და ნიგნის პროპაგანდის საქმეში.

1946 წელს გამოდის გ. ბერულავას ნაშრომი "ნორჩ მკითხველებს ნიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ", რომელშიც ვრცლად არის მოთხრობილი ნიგნის, როგორც ცოდნის წყაროს, გამოყენების შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს შრომა,

თავისი თემატიკის თვალსაზრისით, პირველი ცდაა ქართულ ენაზე.

1950 წელს გამოდის გუია ბერულავას მიერ შედგენილი მონოგრაფიული ნარკვევი "ქუთაისის 11 საბავშვო ბიბლიოთეკა". მისი იდეალი მუდამ იყო მოზარდი თაობის აღზრდა, მათში მაღალი მორალური, ზნეობრივი თვისებების დანერგვა.

ჟურნალ "ბიბლიოტეკარის", 1965 წლის 1 ნ-ში საკავშირო სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოცენტი დ. გოლდშტეინი თავის სტატიაში "პროფესიისადმი სიყვარულით" წერს: "რა დიდი და სასარგებლო მუშაობის გამოცდილების ნახვა შეიძლება 20-30-იან წლებში მომუშავე საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაკთა მუშაობაში. ვის არ დააინტერესებდა ცოცხალი ნარკვევები მიძღვნილი ბავშვებთან საბიბლიოთეკო მუშაობის ისეთი ოსტატებისა, როგორიცაა გუია ბერულავა".

გუია ბერულავას სახელი რესპუბლიკის გარეთაც იყო ცნობილი, ამას ადასტურებს მრავალი საქმიანი წერილი სხვადასხვა ქალაქებიდან. მაგალითად, საყურადღებოა 1967 წლის



თებერვალში ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის პროფესორის ნ. ნ. ჟიტომიროვას მიერ მონერილი წერილი, რომელშიც ავტორი გუიას წერდა: "ამა წლის იანვარში ვმუშაობდი მოსკოვში ნ. კ. კრუჰსკაიას არქივში, სადაც ვნახე ერთი შენიშვნა თქვენი შესანიშნავი მუშაობის შესახებ ოცდაათიან წლებში. ძალიან გამეხარდა. მაგრად გართმევთ ხელს".

ასეთი საქმიანი წერილები ერთეულები როდია. 1956 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, საჯარო ბიბლიოთეკას დაევალა გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაობაზე მონოგრაფიული ნარკვევის მომზადება და გამოცემა, რომლის შესრულება დაევალა გუია ბერულავას.

ვისაც ეს ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი უნახავს და გასცნობია, ადვილად მიხვდება, თურა დიდი შრომა და ენერგია, გამოცდილება და ცოდნა ჩაუქსოვია ავტორს ამ წიგნის შექმნაში.

ძნელია დაასახელო ისეთი დიდი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ღონისძიება, სადაც გუიას თავისი კალმით არ შეეტანოს წვლილი.

მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა 25 ნაშრომი საბიბლიოთეკო საკითხებზე. მის არქივს ამშვენებს თარგმანებიც.

1960 წლის 8 ივლისს გუიას ღვანლის აღსანიშნავად მწერალთა კავშირში გამართულ საღამოზე

ქართველმა მწერლებმა გუიას გადასცეს შემდეგი შინაარსის ადრესი: "... ყოველი მწერალი თავის შემოქმედებით მუშაობაში იღებდა ყველგან მეგობრულ რჩევას და დახმარებას საჭირო ლიტერატურის შესარჩევად.

თქვენ იყავით მწერლისა და თანამშრომლისათვის კარგი მეგობარი და ამხანაგი. თქვენი მოკრძალებული თავაზიანობით საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ.

მწერალთა კავშირის სახელით მწერალთა კავშირის მდივანი – ბ. ჟღენტი".

გუია ბერულავას ლექცია-საუბრები საბიბლიოთეკო საქმის ცალკეულ თემებზე ყოველთვის ხასიათდებოდა საკითხის ღრმა ცოდნით და მასალის გადაცემის მაღალი ოსტატობით.

გუია ბერულავა დაჯილდოვებული იყო საკავშირო კულტურის სამინისტროს სამკერდე ნიშნით და საპატიო სიგელით, მედლით "სამამულო ომის პერიოდში შრომითი მამაცობისათვის", 1960 წელს კულტურის სამინისტროს ბრძანებით მიენიჭა რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, 1961 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, ხოლო 1962 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

გუია ბერულავას სახელი წარუხოცვლია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში.

საცნობარ საკითხავი

ბიბლიოთეკის მოსახიზა

ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ვითარებაში მრავალგვარად მოიხსენიებენ. ცნობილია, რომ საქართველოში თავდაპირველად დამკვიდრებული იყო ტერმინი – "წიგნთსაცავი", "საწიგნე", უფრო გვიან – "სამწიგნობრო". ბევრ ქვეყანაში ანალოგიური ვითარებაა. ევროპაში ეროვნულ ბიბლიოთეკებს "ერის მესხიერებას" უწოდებდნენ. ამგვარი ხატოვანი სახელით ამკობდნენ ბიბლიოთეკას არაბულ სამყაროში – "სიბრძნის სახლი", "მეცნიერების სახლი", იაპონელებისათვის ის "ბუნკოა" – "წიგნის სახლი" ან "ტოსიოკანი" – "წიგნის ინსტიტუტი", აგრეთვე "პიტალა-ტაკი" – "წმინდა ბიბლიოთეკა". რუსეთში ბიბლიოთეკას თავისებური სახელდება ჰქოდა – "წიგნის ეზო" (Книжный двор) – "წიგნის კარმიდამო".

განსაკუთრებული სიუხვით ამ მხრივ ჩინელები გამოირჩევიან – "განდგომილთა სახლი", "ოქროს კალათი", "მოკავშირული პალატა", "პავლიონი", "წიგნის კარმიდამო" (ეზო), "განმარტოებული სიხარულის ბაღი", "წიგნის ყვავილოვანი ბაღი".

ამჟამამდე მთელმსოფლიოში ბიბლიოთეკას "მულტიმედიურ ენციკლოპედიად" ნათლავენ, უწოდებენ აგრეთვე "მედია-ცენტრს". ყოველივე ეს, ერთი მხრივ, იმაზე მეტყველებს, თუ როგორი სათნოებით ეკიდებოდა ხალხი ბიბლიოთეკას, მეორე მხრივ, როგორ ითვალისწინებდნენ დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკის ფუნქციონალურ მეტამორფოზებს.

სხვადასხვა:

1526 წ. სულთან სულეიმან მეორის ბრძანებით, რომელმაც დაიპყრო და გადაწვა ბუდა (უნგრეთი), სამეფო კარის მდიდარი ბიბლიოთეკა თურქეთში გადაიტანეს.

1794 წ. პოლონეთში თათუშ კოსტუშკოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეკატერინე მეორის ბრძანებით ძმები ზალუცკების ბიბლიოთეკა (ეროვნული ბიბლიოთეკა) გატანილ იქნა რუსეთში.

ტერმინი "საჯარო ბიბლიოთეკა" ჩამოყალიბდა ინგლისში გილდჰოლის ბიბლიოთეკის მიხედვით XV საუკუნეში. ეს ბიბლიოთეკა უმთავრესად სასულიერო პირებსა და სტუდენტობას ემსახურებოდა. შეესატყვისებოდა ლათინურ გამოთქმას – "ბიბლიოთეკა პუბლიკა" (Bibliotheca publica).



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ღაჩბები

• 14 თებერვალს საქართველოს კულტურის სამინისტროში გაიმართა რესპუბლიკის საბიბლიოთეკო დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი. ეს იყო კულტურის ახალი მინისტრის ნ. ვაჩიშვილის პირველი შეხვედრა რაიონების (მუნიციპალიტეტების) კულტურის ცენტრებისა და მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებთან. თათბირზე იმსჯელეს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე. მათგან ყველაზე მწვავედ დაისვა საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაციის საკითხი. გამომსვლელები ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, აბაშიდან, რუსთავიდან, ოზურგეთიდან, მესტიიდან, ახმეტვიდან, თელავიდან და სხვ. ქალაქებიდან ერთხმად აღიარებდნენ ამ ტიპის ბიბლიოთეკების ქსელში შექმნილ მძიმე ვითარებას, დაწყებული ბიბლიოთეკების მატერიალურ ტექნიკური ბაზიდან, დამთავრებული ბიბლიოთეკართა მძიმე სოციალური მდგომარეობით. მინისტრის ინფორმაციით, მიმდინარე წელს გატარდება ქმედითი ღონისძიებები საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა.

• მარტის დასაწყისში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის სხდომა. განიხილეს ბიბლიოთეკების კვირეულის ჩატარების, ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებისა და საბიბლიოთეკო



ცხოვრების აქტუალური საკითხები, გადაწყდა ბიბლიოთეკების კვირეული – 2008 წელს ჩატარდეს 30 აპრილიდან 10 მაისამდე;

• 21 მარტს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დასრულდა რაიონის მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. საბიბლიოთეკო მენეჯმენტის კურსებზე გავლის სერტიფიკატები გადაეცათ ლანჩხუთის, ხაშურის, თიანეთის, კასპისა და დუშეთის მთავარი ბიბლიოთეკების მენეჯერებს.

ნმკროლოგი

თინათინ მოსიქა

თინათინ მოსიქე დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო ასპარეზზე. ჯერ იყო, მესტიის რაიონის სოფ. ლენჯერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოხუმში გააგრძელა სწავლა პედაგოგიურ ტექნიკუმში, ხოლო შემდეგ თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაეუფლა ბიბლიოთეკარის სპეციალობას. მუშაობდა ბიჭვინთის ბიბლიოთეკაში, შემდეგ იყო ირის ბაგა-ბალის გამგე, შემდეგ ხელმძღვანელობდა ონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილებას, ბოლოს ონის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარად მუშაობდა. ყველგან ავლენდა მაღალ პროფესიონალიზმს, ახასიათებდა საქმეში თავდადებას, კოლეგიალობა, გულისხმიერება. სწორედ ამისთვის აფასებდნენ მას თანამშრომლები თუ მკითხველები.

ქალბატონი თინათინი გამოირჩეოდა საუკეთესო ადამიანური თვისებებით – იცოდა მეგობრობა, მუდამ თანაგრძნობით უცემდა გული; როგორც ღრმა

მორწმუნე, მრევლში სათნოების განსახიერებას წარმოადგენდა. ოჯახის მოყვარულსა და თავდადებულ პიროვნებას, ქმრის დაკარგვა გაუნელებელ დარდად დარჩა, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მის სულიერებაზე, მაგრამ არ გამტყდარა, არ დაცემულა, მუდამ აქტიურობით გამოირჩეოდა საზოგადოებაში.

საინტერესოა გზა განვლო ჩვენმა ქალბატონმა თინათინმა. მთაში დაბადებულსა და გაზრდილს ხასიათიც მტკიცე და ურყევი ჰქონდა. ვერ იტანდა უსამართლობას, იყო პირში მთქმელი, მეგობრების ქომაგი და მოსარჩლე. მრავალ ახალგაზრდა სპეციალისტს გაუწია დახმარება და შემწეობა. პენსიაში გასვლის შემდეგ, გარდაცვალებამდე გაბრიელ მთავარეპისკოპოსის ეკლესიას დაუკავშირა თავისი სულიერი ცხოვრება და ამგვარად სპეტაკად გაგვმორდა სამუდამოდ. წავიდა და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს მძიმე წუხილი და სინანული დაგვიტოვა.

მ. ონის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომელი



სასოფლო ბიბლიოთეკების გამგეების ერთვიანი რესპუბლიკური კურსების მონაწილენი - 1955 წ. - 1. - ივლის-აგვისტო; 2. - სექტემბერი.

2-00



საქართველოს
საქართველოს

2-40/6

